ძვირფასო მანდილოსნებო!

გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(235) 2021 წ. 1-15 მარტი ფასი 1 ლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საადმზრდელო პროცესი განახლდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში *(გაერთიანების დირექტორი* **ელზა ბილაშვილი)** 1 მარტიდან საადმზრდელო პროცესი **განახლდა.** მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი და მისი მოადგილე **გიორგი ლალიაშვილი** ქალაქ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №5-ის აღსაზრდელებს რეგულაციების სრული დაცვით ესტუმრნენ და საადმზრდელო პროცესის განახლება მიულოცეს. ბატონი გიორგი დაწესებულების მენეჯერს მაია კოხტაშვილს და პედაგოგებს არსებულ საჭიროებებზე გაესაუბრა და ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვისკენ მოუწოდა.

როგორც დაწესებულების მენეჯერმა მაია კოხტაშვილმა თქვა, დაწესებულების 78 აღსაზრდელიდან მეცადინეობებს ყოველდღიურად 40-მდე აღსაზრდელი ესწრება. აქ 3 ჯგუფია გახსნილი: 5-6 წლიანთა ჯგუფი (პედაგოგ-აღმზრდელი მერი გზირიშვილი); 4-5 წლიანთა ჯგუფი (პედაგოგი ლალი ილაური) და ბაგის ასაკის 2-3 წლიანთა ჯგუფი (პედაგოგები მარინა ქარსაულიძე და ზინა ხიბლაშვილი). აქ საადმზრდელო პროცესი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობს. დაწესებულებაში ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური საადმზრდელო პროცესის ჩასატარებლად.

სურათებზე: ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი, მერის მოადგილე გიორგი ლალიაშვილი, დაწესებულების მენეჯერი მაია კოხტაშვილი, პედაგოგ-აღმზრდელი – მერი გზირიშვილი, (ზემოთ) აღმზრდელის თანაშემწე თინა რევაზიშვილი (ქვემოთ) აღსაზრდელებთან ერთად.***

მილოცვა

გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულების შემობრძანებას ვულოცავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მანდილოსნებს!

სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოგშლოდეთ, ჩვენო ძვირფასებო!

აკვანთა სიმრავლე, ვაჟიანობა და ქალიანობა დაგბედებოდეთ!

გიორგი ერბოწონაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი;
ოთარ ჩალათაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს დედის დღესა და ქალთა დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ამაგდარ ქალბატონებს: ექიმ **ლენა ანუაშვილს,** ქალაქის №1 საბავშვო ბაღის ყოფილ გამგეებს **ლამარა გოდერძიშვილს და თამარ გოცირიძეს,** აღმზრდელ-პედაგოგებს: **ანგელინა კოხტაშვილს, ნელი ნავასარდოვას,** საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის მათემატიკის ყოფილ მასწავლებელს **ლენა ლაზარაშვილს,** საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის ყოფილ პედაგოგებს **ნაირა გურგენიშვილს, ნანა დიდმელაშვილს,** უდაბნოს საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის ყოფილ პედაგოგს **ნარგიზა სამსიანს...** ყველას, ყველას, ვისაც კი თავისი უნარი და შესაძლებლობები არ დაუშურებია ჩვენი მუნიციპალიტეტის პატარების აღსაზრდელად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად.

ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე მათ ისევ ჩვენდა საიმედოდ! 3 მარტისა და 8 მარტის ბრწყინვალეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის აქტიურ მკითხველ ქალბატონებს, ჩვენი გაზეთის გულშემატკივრებს – აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა“ ხელმძღვანელ ქალბატონებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ყველა მენეჯერს!

მშვიდობისა და სიკეთის გაზაფხული მოსულიყოს თითოეული ქალბატონისათვის!

საგარეჯოს საპატიო მოქალაქე

ახალგაზრდების დამკვალიანებელი, მოამაგე

ამ რამდენიმე ხნის წინ ყველა საგარეჯოელისთვის საყვარელ პიროვნებას ქ-ნ თამარ ჯაბადარს საგარეჯოს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. დღეს ის ჩვენი სტუმარია და მის მიერ განვლილ ცხოვრებას ხელისგულივით გვიშლის.

— ქ-ნო თამარ, გილოცავთ მარტის დღეს სასწაულებს. მოდით, კიდევ ერთხელ გავაცნოთ თქვენი ცხოვრების გზა ჩვენს მკითხველს და დავიწყოთ ავტობიოგრაფიით

— დავიბადე ქ.საგარეჯოში, პედაგოგების ოჯახში. დავამთავრე საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ვაბარებდი უცხო ენების ინსტიტუტში ინგლისური ენის ფაკულტეტზე, (უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრა იმ დროს 5 სტუდენტს იღებდა, უცხო ენების ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრა 50 - მდე... დიდი კონკურსიც იყო...) დამაკლდა 0,5 ქულა. მომზადების პარალელურად მუშაობა დავიწყე საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკაში, ვინაიდან აუცილებელი იყო სტაჟის ქონა, აბიტურიენტისათვის „გაცდენილი დრო“ არ არსებობდა. დედას ერთმა კოლეგამ მითხრა, ნეტავი რუსულ ფილოლოგიაზე ჩაგებარებინა, იქ უფრო მეტ აბიტურიენტს იღებენო. მეც ჭკუაში დამიჯდა, ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ჩემს უსაყვარლეს პედაგოგს მედეა კვაჭაძეს გავუმხილე (მედეა სკოლაში რუსულს მასწავლიდა). ძალიან გაუხარდა და მითხრა, თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს დაგეხმარებიო... მართლაც ბევრჯერ დამეხმარა სტუდენტობის წლებში სასწავლო სახელმძღვანელოებით...

— ჯაბადრების გვარი ერთერთი გამორჩეული გვარია საგარეჯოში და ბევრი ღირსეული ადამიანი მისცა საქართველოს. თქვენი ოჯახის უშუალო წინაპარი ვინ იყო მათგან?

— ნამდვილად საინტერესოა ჩვენი გვარის ისტორია და ვამაყობ, რომ ამ გვარის წარმომადგენელი ვარ. ჩემი წინაპრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ: მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრალები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები... პაპაჩემი ვლადიმერი რკინიგზელი გახლდათ --წლების განმავლობაში განაგებდა თურმე საგარეჯოს რკინიგზას... მე არ მახსოვს პაპა... მაგრამ კარგად მახსოვს მისი ბიძაშვილები სიკო და შალვა ჯაბადრები...

— ჯაბადრების გვარის გამორჩეული ცოცხალი მაგალითი იყო მამათქვენი — სოსო ჯაბადარი — პედაგოგი, ჟურნალისტი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კაცი... რა როლი მიუძღვის მას თავისი შვილების წარმატებაში?

— მამაჩემი ჭეშმარიტად პატიოსანი ადამიანი გახლდათ, მორწმუნე, კაცთმოყვარე, განათლებული... დიდი ქონება არ გვქონდა სახლში, მაგრამ გვქონდა დიდი ბიბლიოთეკა; მიუხედავად ამისა თვითონ გვაჩვენა გზა საბავშვო და ცენტრალური ბიბლიოთეკებისაკენ -- რაც სახლში არ გვქონდა, ბიბლიოთეკებიდან გამოგვქონდა, ვკითხულობდით და დროულად ვაბრუნებდით. ამით წიგნის გაფრთხილებას, პასუხისმგებლობას ვსწავლობდით... თქვენ ბრძანეთ პოეტური ნიჭით დაჯილდოებული იყო მამათქვენიო... დიახ და არა მხოლოდ... მას ძალიან ბევრი პროზაული მოთხრობა და რომანებიც აქვს. წიგნებად გამოცემა ვერ მოასწრო, იმ დროს სხვა კრიტერიუმები არსებობდა... თუმცა მისი ლექსები და მოთხრობები. თარგმანები არა მხოლოდ ადგილობრივ პრესაში, არამედ რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში --გაზეთებსა და ჟურნალებში -- იბეჭდებოდა. ასე გახდა ის მწერალთა კავშირის წევრი და გარდა გიორგი ლეონიძისა და თეიმურაზ ჯანგულაშვილისა, ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდა იოსებ ნონეშვილი, კარლო კობერიძე და სხვები... ამ საზოგადოებაში არ შეიძლება „ცუდი“ ადამიანი გაიზარდოს... ადარაფერს ვამბობ მამას გარეჯელ მეგობრებზე -- ნუგზარ ჭანტურია, ჯიმშერ ძაბილაშვილი, ვახტანგ ფურცელაძე, იოსებ სოზაშვილი, გრიშა რევაზოვი, ალექსი კუთხაშვილი, ვახტანგ ჩეკურაშვილი, ვახტანგ შიოშვილი, ჯიმშერ გულისაშვილი და სხვები ,რომლებიც ხშირად იყრიდნენ თავს და ჭიქა ღვინოსთან ერთად პოეზიის მორევში ჩაგძირავდნენ...

ვისთვის რა არის წარმატება და ჩემთვის წარმატება ასეთ კორიფეებთან და კოლორიტებთან შეხვედრა იყო...

— როგორი მოსწავლე იყავით, სკოლაში რა აქტივობებში მონაწილეობდით?

— აქტიური მოსწავლე ვიყავი --მიყვარდა მხატვრული კითხვა, და ხშირად ვიღებდი მონაწილეობას სასკოლო და რაიონულ კონცერტებში, ძლიერი ხმა მქონდა, ამის გამო ყველა მონტაჟს ვიწყებდი და ვამთავრებდი... მონტაჟები მზადდებოდა აღლუმების, საიუბილეო ღონისძიებებისა და რაიონის უცხო სტუმრებთან შეხვედრებისას. ძალიან პატარას მახსოვს რუსთაველის 800 წლის იუბილე სტადიონზე... მამას ლექსს ვკითხულობდი. მიკროფონი გამეთიშა და მე ჩვეულებრივ გავაგრძელე... თურმე ჩემი ხმა ესმოდა მაყურებელს... ვმღეროდი სკოლის გუნდში, (ლოტბარი ივანე მჭედლიშვილი). ჩემი სკოლის გუნდი ორჯერ გახდა რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი. სპეციალურად შეგვიკერეს ფორმა... ერთხელ ოპერის თეატრის სცენაზე ვიმღერეთ, ერთხელ რუსთაველის თეატრის... რატომ ვყვები ახლა ამას? ფესტივალებისას აღნიშნულ თეატრებში იმ დროისათვის უკვე ლეგენდებად ქცეულ მსახიობებს და მომღერლებს შევხვდით -- მედეა ჯაფარიძეს, მედეა ჩახავას, სოფიკო ჭიაურელს, ზურაბ ანჯაფარიძეს, ბათუ კრავეიშვილს, ოთარ მეღვინეთუხუცესს, კოტე მახარაძეს, რამაზ ჩხიკვაძეს და სხვებს... ავტოგრაფებს ვართმევდით ბავშვები და გვიხაროდა...

— სტუდენტურ წლებს როგორ გაიხსენებთ?

— მე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი დავამთავრე, რუსული ენა-ლიტერატურა პედაგოგიკით, და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოგვენიჭა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მეთოდისტი-ს სტატუსი. სტუდენტობა -- ეს იყო ლაღი და თავისუფალი წლები... ძალიან კარგი ჯგუფი მქონდა და დღემდე ვაგრძელებთ ურთიერთობას და მეგობრობას ჯგუფელები... აქტიურად ვცხოვრობდით -- ერთად ვნახულობდით თელავის, ყვარლის, ახმეტის, ლაგოდეხის რაიონებში ყველა მუზეუმს და ისტორიულ ძეგლებს... არ ვაცდენდით არც ერთ პრემიერას, გასტროლს, კინო-სეანსებს და თქვენ წარმოიდგინეთ ფეხბურთის მატჩებსაც კი...ორი რესპუბლიკური სტუდენტური კონფერენციის მონაწილე ვარ --სოხუმში და თბილისის უნივერსიტეტში, ორ-ორ სექციაში მქონდა თემები წარდგენილი და შესაბამისი დიპლომებიც მაქვს მიღებული... კონფერენციისა და საკურსო თემების წერისას თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის აქტიური სტუმარიც ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ინსტიტუტს ძალიან კარგი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი ქონდა, მაინც , თუ გინდოდა კარგი თემა და ნიშანი, გვიწევდა საჯარო ბიბლიოთეკაში წასვლაც...

ჩემი მეორადი ფაკულტეტი -- ხელოვნებათმცოდნეობა (3 წელი ვსწავლობდი), ლექციებს გვიკითხავდნენ ძალიან საინტერესო ადამიანები -- ნუგზარ ლორთქიფანიძე -- იმ წლებში თელავის თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ; ქალბატონი თინათინ ბურბუთაშვილი და სხვები...შესაბამისად ვიყავი სტუდენტური თეატრის მსახიობიც. გასტროლებზეც კი ვყოფილვართ სტუდენტური სპექტაკლით...

ასე, რომ ძალიან საინტერესო სტუდენტური წლები მქონდა...

— ვინ და რამ განაპირობა ის, რომ დაიმამ პროფესიად რუსული ენის პედაგოგობა აირჩიეთ?

— რამ და ვინ განაპირობა ჩემი არჩევანი, ამის შესახებ უკვე გიამბეთ... არჩილის არჩევანის შესახებ, თვითონ კითხეთ...

— სად და როდის შედგა თქვენი პედაგოგიური დებიუტი?

— მე-3 კურსზე დაგვეწყო პირველი პედაგოგიური პრაქტიკა, მე მოვხვდი თელავის პირველ საშუალო სკოლაში... მე-8 კლასში ჩავატარე პირველი გაკვეთილი -- ალექსანდრე პუშკინის „სადგურის ზედამხედველი“... ისე ვღელავდი, თავი უკვე ჩამოყალიბებული პედაგოგი მეგონა; პასუხისმგებლობის მაღალი დონე მქონდა და არა მარტო მე... პრაქტიკის ხელმძღვანელი, სკოლის პედაგოგი, სასწავლო ნაწილის გამგე და ჩემი ჯგუფელები, ვინც ამავე სკოლაში გადიოდა პრაქტიკას -- 12-14 ადამიანი მესწრებოდა... ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა 45 წუთი... (სულ ვფიქრობდი დროისათვის არ გადამეჭარბებინა) და ბოლო ფრაზები ვთქვი, დავალება მივეცი, დავემშვიდობე და ზარიც დაირეკა... როგორც შემდეგ გავიგე პირველივე გაკვეთილში 5 დამიწერეს, თუმცა იყო შენიშვნებიც... ამის გარეშე როგორ შეიძლება... შენიშვნების გარეშე და უკმარობის გრძნობის გარეშე კარგ პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდები...

— 1-ლი გაკვეთილის ემოციებს როგორ გაიხსენებთ?

— განაწილებით მოვხვდი გიორგიწმინდის საშუალო სკოლაში, მაგრამ 20 აგვისტოს განათლების განყოფილებაში გამოვცხადდი წესისამებრ და იქ გავიგე, რომ გადმოყვანილი ვარ საგარეჯოს მე-3 საშუალო სკოლაში...10 დღე სწავლის დაწყებამდე... პედაგოგიური კოლექტივის გაცნობა და შეგუება; სახელმძღვანელოების გაცნობა-დამუშავება; თითოეული კლასის 1 გაკვეთილის საუბრების და მასალის მომზადება და მოლოდინი შეხვედრისა თითოეულ კლასთან...1 სექტემბერი -- თითოეულ კლასში დირექტორის თანხლება და წარდგენა, რომ დღეიდან მათი მასწავლებელი გქვია; ინტერესით შემოჩერებული თვალები და ფიქრი, როგორ მოიგო ამდენი ბავშვის გული... და წარმატებით დასრულებული დღე...ეს თანდათან გათამამებს და თავდაჯერებულობას გმატებს... თან ისეთი პედაგოგები გყავს მრჩეველი -- გოგი არაბული, ლიდა ლაფაჩიშვილი, გივი როსტიაშვილი, ვენერა ფხოველიშვილი, ნათელა ლობჟანიძე და სხვები... რომელთაგანაც ძალიან ბევრი ვისწავლე, რომელთა რჩევებსაც ვითვალისწინებდი და მადგებოდა და მადგება დღესაც წარმატებისკენ სავალ გზაზე... ვისთვის რა არის წარმატება?! ჩემთვის კარგად ჩატარებული გაკვეთილია, ბავშვების გაბრწყინებული და მშობლის მადლიერი თვალებია...

— ამბობენ, რომ თქვენ რუსული ენის გაკვეთილების ჩატარების თავისებური და განსხვავებული მეთოდი გქონდათ. კერძოდ, რით განსხვავდებოდნენ ისინი სხვების გაკვეთილებიდან?

— ყველა ადამიანი ინდივიდია... ყველა პედაგოგს აქვს თავისი ინდივიდუალური მეთოდები და მიდგომები, თავისი მიგნებები... ჩემს განსხვავებულ მეთოდებში დამეხმარა სტუდენტობის დროს გავლილი საბანაკო პრაქტიკა განათლების მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში „შევარდენი“,სადაც თითო ნაკადზე 6-16 წლის 700-ზე მეტი ბავშვი ისვენებდა. სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან ურთიერთობამ „მათი ენა“ მასწავლა... ვეცნობოდი სიახლეებს, რომლებიც რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში იბეჭდებოდა, დავდიოდი მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე, ახალგაზრდა პედაგოგთა 2 კვირიან რესპუბლიკურ შეკრებაზე შევხვდი ბატონ შალვა ამონაშვილს, დავესწარი მის ლექციებს და კიდევ ბევრი სიახლე შევიტანე ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში; საგარეჯოში პირველად მე-3 საშუალო სკოლაში და რუსული ლიტერატურის გაკვეთილები დავაწყილეთ

მე-9 -10 კლასებში და საკმაოდ შედეგიანიც გამოდგა. შემდეგ ქართული ლიტერატურის გაკვეთილებიც დაწყვილდა... ადრე რუსულის გაკვეთილზე კლასები იყოფოდა ხოლმე, ამიტომ ჩემს გაკვეთილზე მერხებს ნახევარწრეზე ვაწყობდით და ისე სხდებოდნენ ბავშვები--ასე ყველა პირველ მერხზე იჯდა, დაფასთან ახლოს და მასწავლებლისთვისაც ადვილი იყო ყველა ბავშვთან მისვლა... არც ერთი გაკვეთილი არ გავდა ერთმანეთს... ბევრ გაკვეთილს ვატარებდით ბუნებაში, ქუჩაში... ვაწყობდით იმპროვიზებულ გაკვეთილებს -- მაგ. დაბადების დღე, სტუმრად ახალ წელს მეგობრებთან; კინოში, თეატრში და ა.შ. ეს სიტყვის მარაგსაც უქმნიდა ბავშვებს და ახალისებდა, მოტივაცია ქონდათ ესაუბრათ უცხო ენაზე, ჩვენს შემთხვევაში რუსულად... ამიტომ იყო, ალბათ, რომ კლასი, რომელსაც 0 ჯგუფიდან სკოლის დამთავრებამდე ვასწავლე გამართულად საუბრობდა რუსულად უკვე მე-7 კლასში... ამ კლასის 8 მოსწავლე „არტეკში“ გავაგზავნე. ვიდრე ისინი დაბრუნდებოდნენ მეც მომიწია ჩასვლა პიონერმუშაკთა (უკვე პიონერთა სახლში ვმუშაობდი). მათ სანახავად რომ მივედი, იმ ბანაკის დირექტორმა მითხრა დიდი მადლობა, რომ თქვენი ბავშვები ასე კარგად მეტყველებენო... მინახავს თბილისელი და სოხუმელი ბავშვები, რომლებმაც კარგად იციან რუსული, მაგრამ არასოდეს შევხვედრილვარ პერიფერიის ბავშვებს, რომლებიც ასე კარგად ფლობენ ენასო, რუკაზე ვეძებდი მათთან ერთად საგარეჯოსო... მეც მეტი რა მინდოდა... სიამაყით ვიყავი სავსე... მასწავლებელს მეტი რა ჯილდო უნდა უნდოდეს?...

— თქვენმა ნიჭმა გასაქანი საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მუშაობის დროს ჰპოვა. როდის მიხვედით აქ სამუშაოდ, რა ერქვა მაშინ, რა თანამდებობაზე დაიწყეთ მუშაობა?

— ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ჩემმა ნიჭმა საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ჰპოვა გასაქანი... ზემოთ ვახსენე, რომ ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში ვიმუშავე 6 წელი საბანაკო პრაქტიკას თუ არ ჩავთვლით... აქ დაიწყო ჩემი შესაძლებლობების „ზეიმი“ — ჩვენი სტუმრები ხშირად იყვნენ განათლების მუშაკთა პროფკავშირის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო კომკავშირის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციების წარმომადგენლები, რომლებიც ჩემს ნიჭსა და შესაძლებლობებზე საუბრობდნენ... მე კი ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ ჩემს მოვალეობას მაღალი პასუხისმგებლობით ვეკიდები და ვასრულებ. სკოლაში მუშაობისას ვთვლიდი, რომ მარტო საგანი არ უნდა მესწავლებინა და თავისუფალ დროს პიონერხელმძღვანელს ვეხმარებოდი ღონისძიებების მომზადებაში, სცენარების წერაში... როგორც ამბობდნენ მაღალი დონის ღონისძიებები გამოგვდიოდა. ამიტომ იყო, რომ ძალიან ახალგაზრდას, 26 წლის ასაკში მომანიჭეს სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება და სამკერდე ნიშანი. 1989 წლის თებერვლიდან გადმომიყვანეს მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა სახლში დირექტორად, სკოლაში ნახევარი განაკვეთის შენარჩუნებით. აქ ყველაფერი ნაცნობი და ახალი იყო ჩემთვის. კვირაში ერთხელ დავდიოდი თბილისში პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში მეთოდური ლიტერატურის წამოსაღებად და სიახლეების გასაცნობად.

— როგორ პირობებში გიხდებოდათ მაშინ მუშაობა?

— ვერ გეტყვით, რომ ცუდი პირობები გვქონდა... ცენტრალური გათბობა გვქონდა, რაც მთავარია, რომ ზამთარში არ გახდე პარალიზებული... იმ დროისათვის ჩვენ განათლების სამინისტროს ვეკუთვნოდით, და ისევე ვსარგებლობდით თვალსაჩინოების ბაზით, როგორც სკოლები... ბევრი მოსწავლე გვყავდა, სოფლებიდანაც კი... ახლა ძალიან უჭირთ სოფლებიდან სიარული ტრანსპორტის და თანხის გამო...განსაკუთრებით მაღალმთიან და ცენტრალური გზიდან მოცილებულ სოფლებს, რომელთაც გადასაადგილებლად 2 ტრანსპორტის შეცვლა უწევთ.

— გასული საუკუნის 90-იან წლებში, მხ-

დასასრული მე-7 გვერდზე

„ქალთა ოთახი“ ქალების სამსახურში

გზა გრძელი და საინტერესო

„ქალების ადგილი ყველგანაა, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება“

რუთ ბეიდერ გინსბურგი

8 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე, ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების გლობალური დღეა...

გილოცავთ, იყავით ფემინისტები, ჩაგვრა და უთანასწორობა მიგაჩნდეთ პირად პრობლემად და გინდოდეთ ამის შეცვლა.

შეგწევდეთ ძალა უთანასწორობასთან დაპირისპირების...

შეგწევდეთ ძალა ერთმანეთის სოლიდარობის...

ამ გზაზე ბევრი წინააღმდეგობაა...

საკუთარი თავის ტრანსფორმირების საშუალებად სწორედ ამ გზაზე დაშვებული შეცდომებია...

საკუთარ თავს შინაგანთან ერთად, გარედანაც უყურე და ძერწე...

აი, ასეთი გზაა გრძელი, საინტერესო და გამომწვევი...

გენდერული თანასწორობას აზრი ეკარგება, თუ მას ცალმხრივად განვიხილავთ.

კაცებმა უნდა გაიაზრონ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა მათთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, მაგრამ -დღეს ისევ ძალადობენ ქალებზე და ეს ძალადობა გენდერულად სპეციფიკურია:

-დღეს ისევ მაღალია იმ არასრულწლოვანი გოგონების რიცხვი, რომლებიც სწავლას ფეხმძიმობისა და ნაადრევი ქორწინების გამო წყვეტენ

-დღეს ისევ მაღალია სელექციური აბორტების რაოდენობა და გოგო-შვილების დაბადებას ამ გზით ებრძვიან...

-დღეს ძალიან ცოტა ქალია წარმოდგენილი პოლიტიკაში

-დღეს ყველაზე საზიანო ქალების გაძლიერებისთვის წარმატებული ქალების მხრიდან სოლიდარობაა

-დღეს ბევრი ქალი ოჯახური ძალადობისა და სექსუალური შევიწროვების, ამ „უჩინარი“ დისკრიმინაციის მსხვერპლია...

სწორედ ამიტომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა მოხდა „ქალთა ოთახების“ სტანდარტიზაციისა და მასშტაბების გაზრდის გზით.

„ქალთა ოთახების” გახსნა მუნიციპალიტეტებში უდავოდ დადებითი მოვლენაა და როგორც მუნიციპალური სერვისი, მნიშვნელოვანია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ არა მარტო ქალებსა და გოგონებს ,არამედ მუნიციპალიტეტში მოსულ ყველა მსურველს. მუნიციპალური სერვისი არის ღია სივრცე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებისთვის, გენდერული ცნობიერების ამაღლებისთვის და ცდილობს ხელი შეუწყოს, ქალთა და გოგონათა სხვადასხვა ჯგუფებს, რომ მათ შეძლონ თავიანთი გარემოს ტრანსფორმაცია.

გაზრდილია მოსახლეობის ინფორმირებულება გენდერული თანასწორობის, ქალთა და ოჯახში ძალადობის ფორმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ, ადრეულ ქორწინებაზე, ბულინგზე, სექსუალურ შევიწროვებაზე, შშმ პირთა უფლებებზე, რეპროდუქტიული ჯანმრთელობაზე ორგანიზებულია კინო-ფილმების ჩვენებები და დისკუსია.

ვაწარმოვებთ მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთა, ასევე მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამების გენდერულ ჭრილში სტატისტიკურ მონაცემთა ბაზას.

დაწყებულია 2022 წლის ბიუჯეტისთვის მზადება ახალგაზრდებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოსავლენად. ჩატარებულია შეხვედრები სოფლებში პრობლემების გამოკვეთის მიზნით.

ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, გენდერზე პასუხისმგებელ პირთან, ერთად შეიმუშავეს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი(20201-2023),გენდერული თანასწორობის და „ქალთა ოთახის“სამოქმედო გეგმა(2021). ამ დოკუმენტების ძირითადი მიზანი ქალთა გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვაა .მიზნამდის მისაღწევ აქტივობებზე პასუხისმგებელია გენდერზე პასუხისმგებელი პირი, ქალთა ოთახის მენეჯერები და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

გენდერული თანასწორობის საკითხზე XIX საუკუნის (და არა მხოლოდ) უმნიშვნელოვანესმა პირებმა, ფემინისტებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ იმსჯელეს. მათი არაერთი ნაწარმოებიდან თუ პუბლიკაციიდან ეს ნათლად იკითხება და არათუ იკითხება, ილია ჭავჭავაძე პირდაპირ იბრძოდა ქალთა უფლებებისთვის.

„დედათა ემანსიპაციის შესახებ“ წერილში ის შეეხო არა მარტო ქალთა უფლებებს, არამედ მოვალეობებსაც:

„ბევრს კაცსა, თუ ქალსა ჰგონია დღესაც, რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი, ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას კი აღარავინა ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა“, – წერდა ის და ყურადღებას მუდმივად იმაზე ამახვილებდა, რომ განათლების გარეშე ქალების მოთხოვნები მოთხოვნებადვე დარჩებოდა და თან ის არასაკმარისი იყო“

აკაკი წერეთელსაც არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება ქალთა უფლებებზე, ქალების დამოუკიდებლობაზე:

“საზოგადოდ ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში.

...თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას და თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც იცარება”

ვაჟა-ფშაველა დროს ყველაფერში უსწრებდა, ეს მგონი არავის უკვირს, თუმცა მაინც საყურადღებოა მისი ეს წერილი, სადაც ის ქალების ბუნებაზე და მსოფლიოში ამ თვისებების ნაკლებობაზე საუბრობს:

„მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულეობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? მე ამ საკითხზე გაჭიანურებულ პასუხს არ მოგცემ მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერც ვერავინ შემაცვლევინებს ამ რწმენას დედაკაცნი უფრო ლმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, თუ გარდა, ერთის გრძნობისა, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება“.

თამარ ურდულაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ მენეჯერი

პატარების ჯანმრთლობის სადარაჯოზე

როცა სხვანაირად ცხოვრება არ შეგიძლია

ჩვენი მუნიციპალიტეტის მთიანი სოფლებიდან მოყოლებული, თუ ბარის სოფლებში ექიმ-პედიატრ მარინა ილაურის სახელი დიდი ხანია კარგადაა ცნობილი და განთქმული. ავადმყოფი პატარების მშობლები, თუკი მათ ბავშვებს მარინა ექიმის მადლიანი ხელი შეეხებათ, დაიმედებული არიან და სხვებსაც ურჩევენ მასთან პატარების მიყვანას. თუ ვინიცობაა და ეს ვერ მოხერხდა და პატარა პაციენტს მდგომარეობა გაუუარესდა, მაშინვე მარინა ექიმთან მისვლას ურჩევენ... და ასე გადის წლიდან-წლამდე, ზამთრიდან ზამთრამდე, გაზაფხულიდან-გაზაფხულამდე, შემოდგომით, ზაფხულობით ყოველდღიურად პატარა პაციენტებთან ურთიერთობასა და მკურნალობაში, ჩვენი მომავალი ჯანსაღი თაობების ჯანმრთელობაზე დღენიადაგ მზურნველობასა და ყურადღებაში და ამ ყოველდღიურ პროცედურაში, თავისი საქმისადმი სიყვარულსა და ერთგულებაში „გაფრენილან“ ათეული წლები, წლები, რომელსაც იგი დაკარგულად არასოდეს მიიჩნევს, რადგან მან ისინი ამქვეყნად ყველაზე ძვირფასსა და ღირებულს, – პატარა საგარეჯოელების, ქართველებისა თუ არაქართველების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს მიუძღვნა

ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა...მეშვიდე-მეცხრე კლასებში მისი ოცნებები თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის თეთრ კედლებს ელაციცებოდა – ჟურნალისტობა უნდოდა... უნდოდა, და მერე როგორ... ხაშმელი შუქურა კოტრიკაძე და საგარეჯოელი ციცინო მჭედლიშვილი მისი ოცნების საძირკველჩამყრელები იყვნენ... მთელი რაიონი ამაყობდა მათი სიტყვაკაზმული საგაზეთო სტატიებით...

შემდეგ, როგორც ახალგაზრდულ ასაკს სჩვევია, ოცნება შეიცვალა. თავისი კარის მეზობელი, რაიონში დაფასებული და ყველა დედის ნუგეში და იმედი, პედიატრი ეთერ მღებრიშვილი მისთვის ამოუცნობ ფენომენად იქცა. ექიმი, რომლისთვისაც არც ღამე იყო ძილი და არც დღე, მისთვის არც პაციენტების ასაკი იყო განსაზღვრული, ვიდრე ექიმი ლენა ანუაშვილი მოვიდოდა, მეზობლების პირველი დამხმარე ბინაზე ეთერი ექიმი იყო – გონიერი, ჭკვიანი, სიტყვაძუნწი, სიკვდილ-სიცოცხლესთან თავისი ნიჭითა და გონებით მებრძოლი...

პირველსავე წელს ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტზე. საოცარი პიროვნებები, მედიცინის კორიფეები, უპირველესად კი კაცთმოყვარე აკადემიკოსები, პროფესორები ლექციებსა და პრაქტიკულებზე მათი კოლეგები ხდებოდნენ... რუდუნებით აოსტატებდნენ თითოეულ სტუდენტს, თვალყურს ადევნებდნენ მათ ალღოსა და შესაძლებლობებს და უხაროდათ, თუ მათში ნამდვილ, მომავალ ექიმს ხედავდნენ. ასეთი იყო ეს მორიდებული, ყველასგან მოკრძალებული გოგონაც, რომელიც ინსტიტუტის კედლებიდან მშობლიურ რაიონს ექიმად უნდა დაბრუნებოდა... ეს იყო 1976 წელი... დილით ეთერი ექიმთან ერთად მიუყვებოდა გზას რაიონული საავადმყოფოსაკენ, საავადმყოფოს ეზოში კი მათი გზები იყოფოდა: ეთერი ექიმი სტაციონარში შედიოდა, მარინა – პოლიკლინიკაში... პატარა პაციენტების მშობლები თავიდან „უნდობლად“ უყურებდნენ ახალგაზრდა ექიმს, მაგრამ მალე, ძალიან მალე დარწმუნდნენ, რომ მათი შვილების ჯანმრთელობა საიმედო ექიმის ხელში იქნებოდა...

შემდეგში ბავშვთა განყოფილება ახლადაშენებულ რაისაავადმყოფოს შენობაში გადავიდა, სადაც მეტი სივრცე, მეტი შესაძლებლობები იყო პაციენტთა მისაღებად და მარინე ექიმის შესაძლებლობების გამოსავლენად.

1987 წლიდან ბავშვთა განყოფილება ძველ, მაგრამ ახლადაღორძინებულ, გაფართოებულ, გალამაზებულ შენობას დაუბრუნდა. იყო უშუქობის, გაჭირვების, უკუნი, ბნელი, საშიში ღამეები და დღეები... ზოგიერთი მშობელი ვერც კი ახერხებდა შვილის ბავშვთა საავადმყოფომდე მიყვანას... ვინ მოთვლის ზამთრის რამდენი თოვლიანი, ყინვიანი, გათოშილი გზები გაუვლია გაჭირვებულ მშობლებთან ერთად ფეხით, ავადმყოფი პატარის სანახავად, რამდენჯერ მეუღლეს თავისი მანქანით წაუყვანია გაჭირვებულ პაციენტთან, რამდენჯერ მიუტოვებია საკუთარი შვილები მეცადინეობისას, ან სულაც აბაზანაში, რამდენჯერ დასდგომია სასთუმალთან მისი მეუღლე შვილებს ჩვილობისას – სხვისი შვილების გადასარჩენად...

ექიმობის პირველი დღეებიდან 45 წელი გავიდა. ამ 45 წელიწადში ალბათ 45 დღეც არ ამოითვლება მშვიდად, წყნარად დაღამებოდეს, 45 ღამეც არ ამოითვლება, მშვიდად სძინებოდეს...

დღესაც ასეა, ისევ „ძველებური რეჟიმით“ უწევს მუშაობა შპს ***„ჯეო-ჰოსპიტალსის“ საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის პედიატრიული მიმართულების ხელმძღვანელს*** **მარინა ილაურს,** თუმცა, უფრო მეტი დატვირთვით, ვიდრე ადრე... მსოფლიო პანდემიის პირობებში მეტად საფრთხილოა თითოეული ბავშვის ჯანმრთელობა, დღეს სხვანაირი მიდგომები სჭირდება პატარების დიაგნოზის დასმას და მკურნალობას. უჩინარი „ბრძოლის ველიდან“ გამარჯვებით გამოსვლას. ამ დევიზით მოქმედებს იგი ყოველდღე და თავის კოლეგებსაც ამას ურჩევს. საქმისადმი ასეთი მიდგომის შედეგია ის, რომ იგი ამ „ომიდან“ დამარცხებული არასოდეს გამოსულა და დიდ მადლობას უხდის თავის გვერდით მდგომებს, კოლეგებს, ექიმის თანაშემწეებს, ექთნის თანაშემწეებს – გუნდური თავდაუზოგავი მუშაობისათვის...

თავად რომ ჰკითხოთ, რაშია მისი წარმატების გასაღები, როგორ ახერხებს ხშირად 24 საათი სტაციონარში გაატაროს, გეტყვით, რომ მისი მეუღლის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ერთ დროს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს, საკავშირო და სხვა საერ-

დასასრული მე-7 გვერდზე

სტუმრად მკითხველთან

ნინი ბუზარიაშვილი:
„კარპე დიემ“, ანუ „დავიჭიროთ წამი, დავეშუროთ დროს!“

ნინი ბუზარიაშვილი – *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის წარჩინებული პირველკურსელი, ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარია. ახლაც გვესტუმრა სასიხარულო სიახლით.*

ჩემი ცხოვრება, რომ ერთ ფირზე ჩაწერილიყო და შემძლებოდა ამ ფირის გადახვევა, დაგანახებდით წარსულის ფანჯარას, სადაც ფანჯრის ერთ მხარეს თქვენ, ჩემი მკითხველი იდგებოდით და მეორე მხარეს ვიქნებოდი მე – შებოჭილი, ჩუმი გოგო, რომელსაც ფანჯარას თუ შემოუღებდით, ხმას არ გაგცემდათ, არ შემოგხედავდათ, რადგან არ იცოდა, რას ნიშნავდა და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ხალხთან ურთიერთობა.

ერთ დღეს , როდესაც ეს ფანჯარა უეცრად შემომიღეს, მაშინ ჩემთვის უცნობი სიტყვები – „კარპე დიემ“ შემომძახეს. სახლში დაბრუნებულმა კი მეხსიერებაში დალექილი ეს ორი სიტყვა სასწრაფოდ მოვიძიე. ეტიმოლოგიაში წერდნენ: ჰორაციუსის გამონათქვამი:

„დაიჭირე წამი ანუ კარპე დიემ“.

იმ წამიდან, როდესაც ჩემთვის ეს ყველაფერი გასაგები გახდა წამის დაჭერის ხელოვნების შესწავლა დავიწყე. არ ვიცოდი არაფერი, მაგრამ ვიცოდი, რომ აუცილებლად გამომივიდოდა...

წლები დამჭირდა საკუთარი თავის აღმოჩენამდე. ერთ დღეს გავიღვიძე და სრულიად სხვად აღვიქვი თავი. ჩემში მოხდა არა მარტო ფიზიკური მეტამორფოზა, არამედ ცნობიერიც. პიროვნულმა უნარებმაც კი განიცადეს ტრანსფორმაცია. აღმოვაჩინე, რომ არაჩვეულებრივად ვუგებდი საზოგადოებას,ვაზროვნებდი შემოქმედებითად და ანალიტიკურად, ვიქცეოდი პასუხისმგებლობით, საჭიროების შემთხვევაში ვმუშაობდი მარტო, მაგრამ არ მიჭირდა გუნდში მუშაობის ტექნოლოგიები, ვსწავლობდი იმას, რაზეც ოდესმე ვთქვი : -არასოდეს! და ეს სწავლება ხდებოდა უსწრაფესად.

ჩემმა განვლილმა გზამ, წარმატებულმა თუ წარუმატებელმა მომცა შესაძლებლობა – შემექმნა და ვყოფილიყავი საკუთარი თავის საუკეთესო ვარიანტი. ეს ყველაფერი კი საკუთარ თავთან ბრძოლის შედეგად მოვიპოვე და ვისწავლე, რომ დუელში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავი უნდა გამოიწვიო და გაასწრო მას, ვინც დღეს ხარ, რადგან ეს შეჯიბრებაა, რომელსაც მოაქვს მწვერვალები-წარმატებები. ამ წარმატებებს კი თავის მხრივ მოაქვს გამოცდილება.

ამ დაგროვილმა ცოდნამ და გამოცდილებამ სურვილი გამიჩინა – მებრძოლა იმ „გოგონებისთვის“ და არა მარტო გოგონებისთვის, ვინც ჩემს მაგივრად იმ ფანჯრის მეორე მხარეს ისხდნენ „შებოჭლნი“ და არ იცოდნენ წამისა თუ საკუთარი თავის მნიშვნელობები. 2020 წელს, პანდემიის დაწყების დღეს კვლავ ამოტივტივდა ჩემი ცხოვრების განუყრელი სიტყვები - „კარპე დიემ“ და გადავწყვიტე შემექმნა ამავე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაცია.

მახსოვს თავიდან, როცა არასამთავრობო ორგანიზაცია „კარპე დიემს“ ვაფუძნებდი, იკითხეს: -ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთი რამ ხშირად არ ხდება,რას აფუძნებო?-ცოტა დაბნეულობა იგრძნობოდა იმ ადამიანის თვალებიდან,ვისი ხელითაც ჩემი ორგანიზაციის წესდება გადაიგზავნა დასამტკიცებლად. 30 მაისს გავიმარჯვე. ახლა კი ვგრძნობ, რომ ის გამარჯვება დღევანდელთან შედარებით არასაკმარისი ყოფილა.

სწორედ დღეს გავეცი იმ კითხვას პასუხი,რაც ორგანიზაციის დამტკიცებამდე გაუჩნდათ. მე შევქმენი ახალგაზრდული ჰაბი და ყოველ ჯერზე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ბავშვებთან გასაუბრებისა თუ სამოტივაციო წერილის კითხვისას სიამაყით მევსება გული.

ადრე მეგონა წარმატება მხოლოდ ის იყო, რაც ჩემი შრომით მიიღწეოდა. ახლა კი ჩემი წარმატების საწინდარი ჩემს გვერდში მყოფი ადამიანების, ჩემი ორგანიზაციის მოხალისეების ხარჯზე ხდება. ჩემი ორგანიზაციის მთავარი მიზანიც სწორედ ესაა, აღმოაჩინოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „დამალული ფიგურები“ და გააცნოს საზოგადოებას, ამიტომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნიჭიერ, მოტივაციით სავსე ახალგაზრდებს ყოველთვის დიდი სიხარულით ვიღებთ ორგანიზაციაში.

ორგანიზაციის შექმნიდან დღემდე თავდაუზოგავად ვშრომობდი და ვშრომობ ორგანიზაციის პოპულარიზაციისთვის, რადგან მინდა სწორად მივიტანო საჭირო ადამიანებამდე ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, იმისათვის, რომ შემდგომ მათ შეძლონ გააგრძელონ ან განავითარონ ის გზა, რაც მე დავიწყე.

არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნია - საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორებში წარმატებული საქმიანობის გამოცდილება:

არასამთავრობო ორგანიზაცია „კარპე დიემმა“ და „ადამიანის განვითარებისა და კულტურის საერთაშორისო სკოლის ინიციატივით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2020 წლის 3-5 სექტემბერს CinéDOC - On Tour-ის ფარგლებში დოკუმენტური ფილმების „საგარეჯოს მინიფესტივალი“ მოხალისეობრივ საწყისებზე გაიმართა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კარპე დიემმა“ სოციალური ქსელის დახმარებით შექმნარუბრიკა „ცხოვრება არის დრო!“, რითაც ხდებოდა გაცნობა და გამოცდილების გაზიარება იმ ადამიანების, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას.

პანდემიის პერიოდში „კარპე დიემი“ თანამშრომლობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახთან“. ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარდა ტრენინგები თემებზე: პროექტის წერის ხელოვნება მეწარმე ქალებისთვის, ლიდერობა აქტიური ქალებისათვის, ნეიროსექსიზმი და სხვა.

ჩვენი ორგანიზაციის ამჟამინდელი გამოწვევაა პროექტი „იარე ნელა - არ დააზიანო!“, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის: „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტის განმახორციელებელია კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრი, მედია ცენტრ „კახეთთან“ ერთად.

ვიმედოვნებ, რომ პროექტი „იარე ნელა-არ დაზიანო“ უამრავი ადამიანის მოტივატორი იქნება, რადგანაც ამ პროექტის საშუალებით ნებისმიერი ასაკისა თუ სქესის ადამიანებს შეეძლება ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დაამყაროს კომუნიკაცია და იმ მეტად საჭირო პრობლემებზე, პრობლემის გადაჭრის გზებზე ისაუბრონ,რომელიც მათ თემში არსებობს.

რა საინტერესოა სამყარო, მითუმეტეს ადამიანი,რომელიც უსაზღვრო და უკიდეგანო შესაძლებლობებით იბადება და შემდგომში ხვდება ამას. წამებიც პეპლებს გვანან, იმ პეპლებს, რომელთაც ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ დარჩენილი, ამიტომ უნდა მიყვე, გაეკიდო და შემდგომ დაიჭირო, რათა შეძლო საკუთარი თავის გაზრდა-განვითარება. ცხოვრება,ხომ ამ პეპლების დაჭერისთვის ღირს და არა იმ მკვდარი პეპლებისთვის, რომელთა დაჭერაც დააგვიანე, ამიტომ გაეკიდე ვიდრე დაგასწრეს...

კარპე დიემ, კარპე დიემ, ჩემო მკითხველო!

ვერცხლისმედალოსნის დიდი მიზანი „თუ ადამიანმა მოიწადინა“

გასული 2019-2020 სასწავლო წელი მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ოცდათხუთმეტმა სკოლადამთავრებულმა უმაღლესი ჯილდოებით – ოქროსა და ვერცხლის მედლებით გააცილა. მათგან 4 ვერცხლის მედალოსანს შორისაა აწ უკვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი, საგარეჯოს IV საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლე ანი ხოკერაშვილი. სკოლის წარჩინებულ და წარმატებულ მოსწავლეს – ანის სულ რაღაც 0.2 ქულა დააკლდა იმისათვის, რომ აესრულებინა ყველა მოსწავლის სანუკვარო ოცნება – გამხდარიყო ოქროს მედალოსანი (დააგროვა 9.8 ქულა), თუმცა ამ ერთგვარ წარუმატებლობას როდი შეუშლია ხელი მისთვის წინასწარ არჩეული მიზნისაკენ წინსვლისა და განხორციელების გზაზე.

– ზოგადად ძალიან ვაფასებ მოსწავლეთა მონდომებას და რაიმე მიზნისაკენ სწრაფვას. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ოქროს მედლის მოპოვებაზე ვსაუბრობ. ოქროს მედლის მოპოვება ძალიან საამაყოა, მაგრამ მე არ ვფიქრობ, ამის მიღწევაში რაიმემ შემიშალა ხელი. ჩემი აზრით, არაა აუცილებელი ყოველი საგანი თითოეული მოსწავლისათვის იყოს ერთნაირად საინტერესო ან მისი მომავალი მიზნების აღსრულებისათვის აუცილებელი. მე უფრო ჰუმანიტარული საგნები მიყვარს და მიტაცებდა და მათ სწავლას უფრო მეტ დროს ვუთმობდი, ვიდრე ტექნიკურ საგნებს. აი, უმთავრესი მიზეზი, რამაც ხელი შემიშალა ოქროს მედლის მოპოვებაში, – ***ასე გვიხსნის ანი ამ საკითხს.***

– არა უშავს. ცხოვრებაში რამდენი ადამიანი აღარ შეგვხვედრია და ვიცნობთ,რომელთაც არც ოქროსა და არც ვერცხლის მედლები აუღიათ და არც სკოლაში კარგი ნიშნები ჰქონიათ, მაგრამ დღეს წარჩინებული და წარმატებული ადა მიანები არიან. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ამყარებს შენს მიერ მოყვანილ არგუმენტებს. შენ კი შეძელი ვერცხლის მედლის მოპოვება და დასახული მიზნის განსახორციელებლად პირველი დიდი ნაბიჯის გადადგმა – გახდი სტუდენტი და თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, საბოლოოდ აისრულებ შენი ცხოვრების მიზანს. ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც შენში სწავლის ნიჭი და უნარი განავითარეს?

– ის ადამიანები, რა თქმა უნდა ჩემი ახლობელი და საყვარელი მშობლებია. მამა – მიხეილ ხოკერაშვილი, საგარეჯოს კულტურის სახლის თანამშრომელი და სახალხო თეატრის მსახიობია, მასთან ერთად დედა და ბებია პატარაობიდანვე ცდილობდნენ ჩემთვის წიგნის შეყვარებას. უნდა გამოვტყდე, რომ თავიდან სწავლა არ მიყვარდა, მაგრამ როცა ვხედავდი ჩემს დას წიგნებით ხელში და მის მეცადინეობას, მინდოდა მისთვის მიმებაძა და არ ჩამოვრჩენოდი (მან უკვე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და თავისი პროფესიით მუშაობს). ამ ყველაფერს დაემატა ჩემი პირველი მასწავლებელი ანა დარისპანაშვილი, რომელიც ძალიან მიყვარდა და სულ იმის ცდაში ვიყავი, მისთვის იმედები არ გამეცრუებინა. სკოლის მასწავლებლებიდან განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა და დამოკიდებულება მქონდა ჩვენი კლასის მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან – მანანა გილაშვილთან და ნაზი ბერიძესთან. საგნებს შორის ყველაზე მეტად ისტორია მომწონდა. ასევე ვცდილობდი და მონაწილეობას ვიღებდი სკოლის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა აქტივობებში, ვესწრებოდი ტრენინგებს, კონფერენციებს, ვიყავი „ფერმერთა კლუბის წევრი“, პროექტის „კინო სკოლაში“ მონაწილე, რამაც კიდევ ერთხელ შემაყვარა კინო და გარკვეული წარმატებებიც მომიტანა.

– ანი, შენ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხშირი „სტუმარი“ და მოსწავლეთა საქმიანობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყავი. კერძოდ, რა მოგცა ამ სასწავლო დაწესებულებამ და როგორ შეაფასებდი მის როლს შენს ცხოვრებაში?

– საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ყოველ საზაფხულო არდადეგებზე დავდიოდი და ვიყავი საზაფხულო ბანაკების მონაწილე, შემდეგ კი გავხდი ლიდერი. ამ სახლის დირექტორი თამარ ჯაბადარი და მისი თანამშრომლები ყოველთვის გვიქმნიდნენ ყველა ჩვენგანისათვის სასურველ გარემოს და იქ გატარებული წლები ბევრ კარგ უნარ ჩვევებს გვისაგზლებს ჩვენს მომავალ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

– ანი, თქვენი გვარი იშვიათობაა საგარეჯოში. შენ თუ იცი მისი წარმომავლობის და და ისტორიის შესახებ?

– ჩვენი გვარი წარმოშობით სოფელ მაღნარიდანაა, სადაც გვაქვს საგვარეულო ეკლესიაც, რომელიც V-VI საუკუნეებს განეკუთვნება.

– გავიგეთ, ილიას უნივერსიტეტში გრანტიც მოგიპოვებია და ბარემ აქვე – რა განხრით აპირებ სწავლის გაგრძელებას და შენს მომავალ საქმიანობას?

– ილიას უნივერსიტეტში მოვიპოვე 50%-იანი გრანტი. რაც შეეხება სპეციალობას, ვაპირებ ავირჩიო საერთაშორისო ურთიერთობები და მინდა ამ პროფესიითვე გავაგრძელო ჩემი მომავალი საქმიანობა. ასევე, ვაპირებ მომავალ მეორად პროფესიად ავირჩიო კინომცოდნეობა, რომლისადმი ინტერესი და სიყვარული სკოლაში პროექტ „კინო სკოლაში“ მონაწილეობის დროს ჩამომიყალიბდა.

– სწავლის გარდა რა არის ცხოვრებაში შენი ჰობი?

– „კინო სკოლაში“ პროექტმა ისე „ჩამითრია“ და შემაყვარა თავი, რომ ფილმების ყურების გარეშე თავისუფალ დროს იშვიათად ვატარებ, არ ვიცი, სტუდენტობის დროს კიდევ დამრჩება თუ არა დრო საამისოდ, მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ ადამიანმა მოიწადინა, ყოველთვის გამონახავს დროს თავისი მიზნების განსახორციელებლად.

– აბა, მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ყოველი განათლებული და ერუდირებული ახალგაზრდა ხომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ხვალინდელი დღის საწინდარია და თუ სკოლა ვერცხლის მედლით დაასრულე, ცხოვრებისეული გამოცდა 10-იანზე და ოქროს ასოებით ჩაგეწეროს.

გ. დაბახიშვილი

ჯერ უფალი, დანარჩენი მერე

სერბი ექიმის აღიარება: რა არის აბორტი და კონტრაცეფცია

„მე თითქმის 62 000 აბორტი გავაკეთე“

იოსებ იმედაშვილი შვილების შესახებ

„იმისათვის, რომ ნაციონალური თვითგანადგურებისაგან თავი გადავირჩინოთ, ქართულ ოჯახებში ერთ-ორშვილიანი სისტემის ნაცვლად უნდა დაინერგოს ხუთ-ექვსშვილიანი სისტემა. არც ერთ შემოსეულ მტერს – მურვან ყრუს, ჯალალ ედინს, ბათუ ყაენს, თემურ ლენგს, შაჰ აბასს, ნადირ შაჰს, აღა მაჰმად ხანს, თუ სხვა დამპყრობელთ იმდენი ზიანი არ მიუყენებიათ ქართველი ერისათვის, რამდენიც ახლანდელი ზოგიერთი შუბნებელი ქართველი დედანი სჩადიან. ან სულ არ ბაიჩენენ, ან ერთსა თუ ორს, დანარჩენთ კი, ჯერ უშობელ – მზის სხივთა უხილველს სპობენ, ქვეყანას საძირკველს ურღვევენ...

ასეთი თვითმოსპობის საძიებელი სადამდის მიგვიყვანს, რას უპირებს ჩვენს ერს? იქნება ჩვენი ძალებისა და დედების განუჯვრეტელობით უბუნურობით, ჩვენი ლამაზი ქვეყანა სხვებს დარჩეთ საჯიჯგნად“.

ი. იმედაშვილი, 1916წ

ბინეკოლოგი ***სტოიან ადაშვეიჩი პირველი სერბი ექიმია, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა (აბორტი) არის მკვლელობა, რომლის პასუხისმგებლობასაც თანაბრად ინაწილებენ ბავშვის დედა და ექიმი, რომელიც ატარებს ოპერაციას. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა მისი გამოკვლევა, სტატიების კრებული აბორტის შესახებ – „სიცოცხლის სიწმინდე“. ქვემოთ მოტანილი საუბარი ექიმ ადაშვეიჩთან, რომელიც გამოაქვეყნა სერბულმა ჟურნალმა „მართლმადიდებლობამ“, შემაძრწუნებელია თავისი გულახდილობითა და შინაარსით. ამ ინტერვიუს ყველაზე შესაფერისი განსაზღვრება, ალბათ, არის აღსარება, სახალხო მონანიება.***

– როდის მიხვდით, რომ როდესაც ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას ახდენდით, ამით ადამიანს კლავდით?

– მე ექიმი ვარ, კარგად ვაცნობიერებ, რა არაადამიანური საქმეები მაქვს ჩადენილი; მე მოვალე ვარ დავამოწმო, გავანათლო, გავაფრთხილო ადამიანები, რომ ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა სხვა არაფერია, თუ არა დაუბადებელი, უმწეო ბავშვის მკვლელობა. ჩემი, როგორც ექიმი-გინეკოლოგის მოვალეობებში შედიოდა სახელმწიფოს მიერ ნებადართული აბორტებიც. მაშინ არ ვიცოდი, რომ მკვლელობას ჩავდიოდი, მაგრამ ახლა ვაცნობიერებ, რა დიდია ჩემი დანაშაული ღვთისა და ადამიანების წინაშე. უნივერსიტეტში მასწავლიდნენ, რომ ბავშვი სიცოცხლეს იწყებს დაბადების შემდეგ, ადამიანად იქცევა პირველი ტირილის შემდეგ; მანამდე ის მხოლოდ დედის შინაგანი ორგანოების ნაწილია, ისეთი, როგორიცაა ღვიძლი, თირკმელები, ელენთა.

მე თითქმის 62 000 აბორტი გავაკეთე. საკუთარი ხელებით გავანადგურე მთელი ქალაქის მოსახლეობა. ბელგრადში მრავალი საავადმყოფო და კლინიკაა, სადაც აბორტები კეთდება. ოთხმოციანი წლების ბოლოს დაიწყო ულტრაბგერის გამოყენება, რამაც საშინელი აღმოჩენები მომიტანა. დავინახე ჩვილი, დავინახე მისი გულის ძგერა, მოძრაობა, პირის გაღება. ბავშვები, ორსულობის უფრო მოგვიანო პერიოდებში, ხელის თითს წოვდნენ, გრძნობდნენ და განიცდიდნენ ემოციებს, ბგერითი ტალღის რხევის გახშირებაზე რეაგირებდნენ საკუთარი მოძრაობების აჩქარებით. და წარმოიდგინეთ, საკმარისია მხოლოდ ოთხი-ხუთი წუთი (ჩვეულებრივ ამდენ ხანს გრძელდება აბორტი), რომ მოკლა ეს პატარა ადამიანი.

– როდის შეწყვიტეთ ოპერაციები ორსულობის შესაჩერებლად?

– იმის გახსენებისას, რაც უნდა მოგითხროთ, გული მტკივა და სისხლში იწურება. მაგრამ, როდესაც საშინელ საგნებზე ვლაპარაკობთ, საჭირო არაა ვეცადოთ, რომ ისინი ლამაზად და კეთილშობილურად გამოიყურებოდნენ. ამგვარად, მე ვაკეთებდი დაახლოებით ოთხნახევარი თვის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაციას. ოპერაციის დროს, რომლის დეტალების აღწერა მე ძრწოლის გარეშე არ შემიძლია, გავაცნობიერე, რომ მკვლელი ვარ. მორიგი აბორტი, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი, რუტინული ოპერაცია, ჩემთვის კოშმარად იქცა.

მე ჯერ ბავშვის ხელი ამოვიღე, რომელიც იოდიან კომპრესზე მოხვდა. იოდმა ნერვული დაბოლოების გაღიზიანება გამოიწვია და პატარა ხელი კონვულსიურად ათრთოლდა. შემდეგი მოძრაობით ბავშვის ფეხი ამოვიღე, მაგრამ ისევ იგივე გამეორდა. ადრე ამგვარი არაფერი დამმართნია. მე შევეცადე ინსტრუმენტით ამეღო ბავშვის გული და ვიგრძენი, როგორ განაგრძობდა ჩემს ხელებში ცემას, უფრო ნელა და ნელა, ვიდრე არ გაჩერდა.

მე გავაცნობიერე, რომ მკვლელობა ჩავიდინე, ადამიანი მოვკალი. ქალი სისხლისგან იცლებოდა, მის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა. ლოცვა დავიწყე: „უფალო, დამეხმარე მის გადარჩენაში და მე დამსაჯე!“ ამის მერე აღარასოდეს გამიკეთებია ამგვარი ოპერაციები. გაირკვა, რომ ჩემი ახალი ცოდნა ემთხვევა მართლმადიდებელი ეკლესიის აზრს, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება მისი ჩასახვის მომენტიდან. ორსულობის შეწყვეტა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ჩვეულებრივი მკვლელობა, – დედის მუცელში მყოფი პატარა, უდანაშაულო ადამიანი ხომ სრულიად დაუცველია.

– იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ემბრიონებს ოპერაციის შემდეგ, სავალდებულო არ არის მოკლული ბავშვის დედისგან ნებართვის აღება. რა ელით ამ (მოკლულ) ბავშვებს?

– ადამიანებს იშვიათად აინტერესებთ, რა ემართებათ ამ ემბრიონებს ოპერაციის შემდეგ. ჩვენს ქვეყანაში არავინ აქვეყნებს ასეთ ინფორმაციას. ჩვეულებრივ, ყველა ემბრიონი განიხილება როგორც ოპერაციის შემდგომი ნარჩენები. მათ აწყობენ შავ პოლიეთილენის ტომრებში და აგდებენ სხვა ოპერაციების შედეგად დარჩენილ ორგანოებთან ერთად. შემდგომ მათ წვავენ.

ჩვენი საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვების სამედიცინო, ეთიკური და იურიდიული დაცვა.

ბავშვს იგივე უფლებები უნდა ჰქონდეს, როგორიც სრულწლოვანებს აქვთ. ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა საზოგადოების ყველა წევრთან მიმართებით.

– თუ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სერბიაში ყოველწლიურად გაკეთებული აბორტების შესახებ?

– ზუსტი სტატისტიკის არსებობა ალბათ შეუძლებელია. ზოგი მონაცემის მიხედვით ყოველწლიურად 120 000 აბორტი კეთდება, სხვების მიხედვით ეს რიცხვი 420 000 აჭარბებს. ჩემი მონაცემებით, ყოველ დაბადებულ ბავშვზე დაახლოებით 25 აბორტი მოდის.

– როგორია თქვენი აზრი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე?

– ორსულობის ტესტები აჩვენებენ, რომ იმ ქალებში, რომლებიც ე.წ. „სპირალებს“ იყენებენ, უფრო ხშირად ხდება ჩასახვა, მაგრამ „სპირალი“ ემბრიონს არ უშვებს საშვილოსნოში და აქედან გამომდინარე, ის კვდება ჩასახვიდან დაახლოებით ერთ კვირაში. იგივე ხდება ჩასახვის საწინააღმდეგო აბებთან დაკავშირებითაც: ისინი ხელს უშლიან ემბრიონის ნორმალურ განვითარებას, ნელ-ნელა კლავენ მას.

ბევრი ქალი ჯერ კიდევ უმეცრებაშია, მათ ამ საკითხზე მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული შეხედულება იციან. როდესმე გინახავთ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, ე.წ. ქალთა ჟურნალებში, გადაცემებში მართალი ინფორმაცია აბორტებზე, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე და ხელოვნურ განაყოფიერებაზე?

– როგორია თქვენი აზრი საშვილოსნოს გარე ხელოვნურ განაყოფიერებაზე?

– მე ჩამიტარებია ამგვარი ოპერაციები. ხელოვნური განაყოფიერება მიუღებლად მიმაჩნია. ჩვეულებრივ, ხდება ათიდან ოცამდე ემბრიონის განაყოფიერება, არჩევენ ყველაზე სიცოცხლისუნარიანს, დანარჩენებს კი კლავენ.

„ჩიტებივით გადაფრინდა – წლები მხიარული“

ოქროს ძაფით შეკერილი 55 წლიანი მეგობრობა

მზია დარბაისელი და ლუარა (ლაურა) გიორგაძე ათეული წლები ერთად მუშაობდნენ... ახლა ვეღარ ხვდებიან ერთმანეთს და სოციალური ძსელის საშუალებით ერთმანეთს ეხმიანებიან. ვერაფერი დააკლო მათ მეგობრობას დრომ. დროს აჯობა მათმა ძართველობამ. გილოცავთ 3 და 8 მარტს ამაგდარო ადამიანებო!

ჩემო ძვირფასო!

(ქ-ნ ლაურა გიორგაძეს)

რატომღაც ასე დამებედა, მუდამ იმ ქვეყნად წასულ, ჩემთვის ძვირფას ადამიანებს ვეფერები, აქ მყოფთ-ვეკრძალები. რადგან იმ ქვეყნად წასულთ „სასუფეველში მიხედავს ღმერთი, აქ კი - ჯოჯოხეთს გაგვინათებს ღიმილი ერთი“ გადავწყვიტე „ძნელად დასაწერი“ დავწერო ჩვენი ბედკრული, ერთგული მეგობრობის შესახებ, რომელმაც მრავალი ქარტეხილი გადაიტანა და წმინდად, ლეგენდასავით შემორჩა ჩვენს ცხოვრებას თაობიდან თაობაზე გადასაცემად.

სწორედ ასეთი 55 წლიანი მეგობრობა გვაკავშირებს მე და შენ, ჩემო „ლუარა“.

ელვისებურად გაფრინდა წლები,
ხანდაზმულობის დამდგარა ჯერი,
ახლა სადაც ხარ, ჩემო ძვირფასო,
დამილოცნია ის ფუძე, ჭერი!

“ჩემო ძვირფასო!“

ამ სიტყვებით იწყებ ყოველთვის ჩემთან საუბარს და ვგრძნობ იმ სითბოსა და სიყვარულს, რომელიც მხოლოდ ახლობელი ადამიანების თანდაყოლილი თვისებაა, თუმცა ჭეშმარიტი მეგობარიც ასეთივე ახლობელი და ხშირად შენი გულის მესაიდუმლეა.

მუდამ მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. პარტიის რაიკომში მოსულმა პირველი შენ დაგინახე: მაღალი, ქერათმიანი, ლამაზი ქალი, რომელმაც თბილად გამიღიმა და გამამხნევა. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა, რომელიც ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მალე გადაიზარდა მეგობრობაში.

ბევრი რამ აღმოგვაჩნდა მეგობრობისათვის საერთო: სკოლის წარჩინებით დამთავრება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ორივეს გვიყვარდა ლიტერატურა, პოეზია და გალაქტიონი, კარგად ვიცოდით რუსთველისეული მეგობრობის ფასი, „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული- გზად და ხიდად“. გვქონდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და მორალურ-ზნეობრივი პრინციპები, რომლებიც არასოდეს დაგვირღვევია ჯერ პარტიის რაიკომში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის დროს, ბოლოს კი - რაიონის საკრებულოში.

ამ ურთიერთობას ხელს უწყობდა ჩვენი მეუღლეების საუკეთესო მეგობრობა, რომლის საფუძველიც იყო ერთმანეთის პატივისცემა და უანგარო სიყვარული; მაგრამ „დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?!“ ბედნიერებით და სიხარულით სავსე მეგობრობა 13 წლის მერე, შემოდგომის ერთ კვირა დღეს, შავი ნისლით დაიბურა. უბედური შემთხვევით, ავტოავარიამ იმსხვერპლა ჩემი მეუღლე, შენი კი - „უდანაშაულო დამნაშავე“, სულიერად განადგურებული მალევე გარდაიცვალა.

ჩვენმა ტრაგედიამ შეძრა მთელი რაიონი. ამ შემზარავ ამბავს თითქოს უნდა შეერყია ჩვენი მეგობრობა, მაგრამ პირიქით - საერთო ტკივილმა უფრო დაგვაახლოვა, პატიოსნებასა და ერთგულებაზე დაფუძნებული, „ოქროს ძაფით“ შეკერილი მეგობრობა ჭირში გამოიწრთო, როგორც ფოლადი. სწორი გზიდან არც ერთს არ გადაგვიხვევია და ჩვენი შვილები მტრებად კი არა, მოკეთეებად აღვზარდეთ.

ჩემო ძვირფასო!

ბედმა კიდევ გვარგუნა მსგავსი სატკივარი. ტკივილს ტკივილი მიემატა, ორივემ დავკარგეთ უფროსი, ჩვენი საფიცარი ძმები.

სევდა გაასმაგდა, როცა გაიყიდა ჯერ ჩვენი და მერე თქვენი სახლ-კარი. მოიშალა დედაბოძგამოცლილი მამა-პაპისეული კერა და ჩაწყდა კიდევ ერთი ძარღვი ტკივილიან გულში. შენ საგარეჯო გენატრება, მე - ნინოწმინდა. შენ იცი, რომ ჩემს გულისწუხილს სტრიქონებად ვაქცევ. ეს ლექსი ორივეს გულისტკივილია. მჯერა შენს სულსაც ისევე ააღელვებს, როგორი გრძნობითაც მე დავწერე...

გაყიდული კერა

ყოველ ღამე მესიზმრება გაყიდული კერა,
მუდამ თავზე დამტრიალებს, სულს მიკორტნის ძერა!
რომ იცოდეთ, რა ძნელია დაკარგულზე წერა,
ალბათ, ასეთი იყო ჩემი ბედისწერა...
გაყიდვის დღეს დავიფიცე:
სიკვდილამდე არ შევხედავ ჩემს გაყიდულ სახლ-კარს,
არც გალავანს და არც ლამაზ ჩუქურთმიან ჭიშკარს,
გავლის დროსაც თვალებს ვხუჭავ, არ წამძლიოს სულმა,
სისუსტე არ გაამჟღავნოს ამ ნატანჯმა გულმა;
უნებლიეთ არ შევხედო ქუჩის მხარეს
ბამბასავით აყვავებულ პანტისა და კომშის რტოებს,
წინათ ასე რომ შვენოდა „ჩვენი“ კარის დილ-კილოებს...
ვიხსენებ და მე სევდიანს მსურს გულწრფელად,
ის დღეები ცხოვრებისა ხსოვნას შერჩეს ხელუხლებლად...

ჩემო ძვირფასო!

არცერთმა არ ვიცით, კიდევ შევხდებით თუ არა ერთმანეთს. ისეთი დრო მოვიდა, რომ „კორონას“ გამო შეიძლება უკანასკნელ გზაზეც ვერ გავაცილოთ ერთმანეთი, მანამდე კი - კვლავ ხელუხლებლად, წმინდად შემოვინახოთ ჩვენი ცრემლით გაჯერებული სპეტაკი მეგობრობა, რომლის სხივიც გაუნათებს გზას ჩვენს შთამომავლობას.

სიყვარულით შენი „მზეო“.

მზია დარბაისელი

„„ჩემო ტკბილო მეგობარო, შენი ნახვა მენატრება“

შენ გადაარჩინე ჩვენი დიდი, მაგრამ უიღბლო მეგობრობა. ვამაყობ, რომ ჩემს ქალაქში, რომელიც ყოველღამე მესიზმრება, ცხოვრობს მზია დარბაისელი, უსპეტაკესი სულის პატრონი, „ლამაზად შვილების გამზრდელი დედა“, იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია. ჩემს საყვარელ ქალაქში კიდევ ჩემი უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი ცხოვრობთ, ყველას ვერ ჩამოვთვლი, რადგან შეიძლება ვინმე გამომრჩეს და ახლა, როცა დაღმავალ გზაზე ვდგავარ, თქვენი ერთი ღიმილი, გამხნევება საგზლად მიმყვება, უკან მოხედვის კი არ მეშინია. აქ დავსვამ მე წერტილს. ამ ყველაფრისათვის კი მხოლოდ ერთი სიტყვა არსებობს.

„გმადლობთ!“

მიყვარხართ თქვენ და ჩემი საგარეჯო!

ლაურა გიორგაძე

ჩვენი „ფუფალა“, „ლამაზისეული“ და პოეტი: „— ძალიან მინდა საგარეჯომ კიდევ ბევრი ნიჭიერი მსახიობი აჩუქოს საქართველოს“

***გიორგიწმინდის** რვაწლიან სკოლაში სწავლისას ყველა მოუსვენარ, აქტიურ, სიცოცხლეზე, მშობლიურ სოფელსა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ პატარა კაფანდარა გოგოდ იცნობდა... შემდეგ იყო საგარეჯოს პირველი საშუალო, ზაქარიაძის სახელობის სკოლები, თეატრალური ინსტიტუტი, ზუგდიდის, ხობის თეატრის სცენები და ბოლო ნავსაყუდელი — საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახალხო თეატრი... მას შემდეგ 44 წელიწადი გავიდა... თავად 70-ისაც შესრულდა, მაგრამ, ვერ იქნა, ვერ „მოისურვილა“ სამშობლოს, სცენის, თავისი საყვარელი როლების სიყვარული, იმ ადამიანების პატივისცემა, რომლებიც თავის სოფელსა და ქალაქს უმშვენებენ... და მოდის ლექსები პატარ-პატარა წყაროებად, ნაკადულებად — მიწისა და ცის, ვაზისა და ჯვრის, თოვლისა და მზის სადიდებლად, ქართველობის მოსაფერებლად.*

*დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია სწორედ ეს ქალბატონი, საგარეჯოელებისა და არა მარტო ჩვენი საყვარელი „ლამაზისეული“ და „ფუფალა“, ტელეშოუ „პროფილისა“ და ტელეარხ „პირველის“ რესპოდენტი, ძარღვიანი ქართულით გამთბარი ლექსების ავტორი, საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი **ნათელა დიდმელაშვილი**. ჩვენი შეხვედრა რედაქციაში შედგა, მარტის ერთ მზიან, მაგრამ სუსხიან დღეს. ქ-ნმა ნათელამ საუბარი ლექსებით დაიწყო, პირველი კითხვაც აქედან დაიბადა.*

— ქ-ნო ნათელა, პირველი ლექსების „დაბადება“ თუ გახსოვთ?

— მგონია არც არავის ავიწყდება თავისი პირველი ლექსი თუ როლი. მეექვსე კლასში ვიყავით, რუსულ ენას და ლიტერატურას ცირა ბასილაშვილი გვასწავლიდა და ერთხელ გაკვეთილზე გვეუბნება: — ბავშვებო, ტარას შევჩენკოს ლექსი „ზავეშანიე...“ დაუმთავრებელი დარჩა, ლექსის შინაარსი ასეთია... აბა ვინ შეძლებს და ვინ გააგრძელებს ამ ლექსს? მეორე გაკვეთილზე მიტანილ „საშინაო დავალებებს“ შორის ცირა მასწავლებელმა ჩემი ლექსი გამოარჩია და თანაც ისეთი აღფრთოვანებით, გახსენებაზე ახლაც ცრემლები მომდის... იმ ლექსმა მოიარა ჩვენი სკოლის ყველა კლასი, სამასწავლებლო, ცირა მასწავლებლის მეგობრები... გავხალისდი... ახლა გამოგიტყდებით, როცა მუზა ლექსის დასაწერად მოდის, პირველი სტროფი იმხელა სიამოვნებას მანიჭებს, ვერ გადმოგცემთ. ხშირად მეკითხებიან — რატომ არ ბეჭდავ ლექსების წიგნსო, მაგრამ ჩემი პასუხი ასეთია: ჩემი ლექსები იმხელა სიამოვნებას მანიჭებს მე თავად, რომ მე ჩემთვის, ჩემი სიამოვნებისთვის ვწერ-მეთქი.

დიდი გალაკტიონი ხომ 17 ნოემბერსაა დაბადებული, ხოდა მეც... ტრადიციად მაქვს, ამ დღეს აუცილებლად ვუწერ ლექსს გალაკტიონს...

ერთხელ ვახუშტი კოტეტიშვილი იყო ჩემს მეზობელთან სტუმრად. ჩემი ლექსი „შემოდგომა გარეკახეთში“ წავუკითხე... ძალიან მოეწონა. ლექსი „სიზმარი საქართველოზე“ ძალიან მიყვარს. ჩემი ლექსები იბეჭდებოდა ხანდახან. მაგალითად, როცა სკოლაში ვსწავლობდი — „ნორჩი ლენინელში“, რომლის აქტიური მკითხველიც ვიყავი და შტატგარეშე კორესპონდენტიც, გაზეთ „კავკასიაში“, რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადში“ და ახლა თქვენს გაზეთშიც „შემოვაბიჯე“.

— მსახიობურ როლებზე რას გვეტყვით, სცენის „მტვერი“ პირველად როდის ჩაისუნთქეთ?

— დღეს მოქმედ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში ადრე კინოთეატრი იყო. დღევანდელი სატრაპეზოს ადგილას, ყოფილ ძველ სამრევლო სკოლაში დაწყებითი განათლების საფეხურის სკოლა იყო გახსნილი. მე „ვიმეტიჩრე“ და 7 წლამდე ვერ მოვითმინე და 6 წლისა შევედი სკოლაში. ჩვენმა მასწავლებელმა ვარსენიკა ანდრეევამ მე და ჩემი მეგობარი მოგვამზადა ლექსით „კოწო და კუწო“ და ჩვენ ე.წ. თეატრის სცენაზე (სადაც ახლა ეკლესიის საკურთხეველია), იქ გამოგვიყვანა... სწორედ ვარსენიკა მასწავლებელმა მაზიარა პოეზიას, სცენას და შემაყვარა...

— შემდეგ?

— შემდეგ იყო გიორგიწმინდის რვაწლიანი სკოლის ცხოვრებაში ბევრი საინტერესო ღონისძიება, სადაც ჩემი ლექსებით, როლებით გამოვდიოდი. შემდეგ სწავლა საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში გავაგრძელე. ძალიან ძლიერი კლასი იყო: ქართული ენასა და ლიტერატურას უძლიერესი ფილოლოგი, საოცარი პიროვნება ნინო ასათიანი გვასწავლიდა. მე მგონი, უკვე ყველაფერი ვთქვი ამ სახელისა და გვარის ხსენებით... ერთხელ თეატრის რეჟისორი ვახტანგ ფურცელაძე შემოვიდა კლასში, შეარჩია მოსწავლეები — ვინც კარგად კითხულობდა ლექსებს (მაშინ გულო ლაფერიშვილმა საოცრად წაიკითხა მაიაკოვსკის ლექსი, აი, ის, „როგორც შემოდგი ფეხი კავკასიაში“...) მე ზედაც არ შემომხედა — ერთი პატარა გოგო ვიყავი... ნინო მასწავლებელმა მიუთითა ჩემზე — ეს აიყვანეთ, ამას გირჩევთო, მაგრამ რეჟისორმა სხვები აირჩია... (შემდეგ, წლების შემდეგ, როცა თეატრში ვმუშაობდი, ერთ

დღესაც ვახტანგ ფურცელაძეს გზა გადავუღობე, კიბეებზე არ ავუშვი და ჩემი ლექსი ე.წ. „დაწუნებულ დეკლამატორზე“ წავუკითხე, რეჟისორმა ტირილი დაიწყო — მეც ეგრე ვტიროდი, როცა სკოლაში „მსახიობად არ ამიყვანეთ მეთქი“, ვუთხარი. ბატონმა ვახტანგმა იტირა და კარგ როლსაც „გამოვკარი ხელი“ — სპექტაკლ „ველურებში“ (მიხალკოვის მიხედვით) ვეფხვების მომთვინიერებლის როლი მომცა!!!

ძალიან მინდოდა კინომსახიობობა, მაგრამ დედაჩემმა არ დამრთო ნება. ამიტომ ზაქარიაძის სახელობის სასწავლებელში ჩავაბარე, შემდეგ — თეატრალურ ინსტიტუტში. განაწილებით ვმუშაობდი ჯერ ზუგდიდში, შემდეგ — ხობში. ოჯახიც შევქმენი ჩემს სტუდენტობის მეგობართან გივი კაბულაშვილთან. გიორგიწმინდაში საცხოვრებლად 1977 წელს ჩამოვედით. თეატრშიც ამ დროს მოვედი. ვთამაშობდი „მეათეხარისხოვან“ როლებს, ყველაფერთან ერთად ჩემთვის ძნელი იყო ღამეული რეპეტიციები, ტრანსპორტირება სახლში მიჭირდა. თუმცა ისიც მინდა გითხრათ, რომ იმ დროს ჩვენი თეატრის წამყვანი მსახიობები იყვნენ ქ-ნები ეთერ თედიაშვილი და ნანული ბილანიშვილი. ქ-ნი ნანული დღესაც ამშვენებს ჩვენს სცენას.

— ყველას გვახსოვს თქვენს მიერ განსახიერებული „ლამაზისეული“ სპექტაკლ „კაცია-ადამიანში?!“, მაგრამ პოპულარობა საგარეჯოსა და არა მარტო საგარეჯოელ მაყურებლებში, მაინც გოგლასეულმა ფუფალამ მოგიტანათ...

— გეთანხმებით. „კუკარაჩაში“ მართას როლი შევასრულე, როცა თბილისში თეატრების ფესტივალი იყო, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძეს ძალიან მოვწონებივარ ამ სპექტაკლში. რა გითხრათ, „ფუფალას“ ქ-ნი ნანული ანსახიერებდა, მე მაშინ „ბალბალუკა ვიყავი“... ერთ „გოგლაობაზე“ ნანულიმ ვერ შეძლო ამ როლის შესრულება (მეუღლე გარდაეცვალა) და მე „დამავალეს“... ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ უარი ვთქვი, თითქოს „თავი არ მეღირსებოდა“ სოფიკო ჭიაურელისა და ნანული ბილანიშვილის შემდეგ ეს როლი მეტვირთა... მაგრამ... შევასრულე... ასე გავხდი „გოგლას კარის ფუფალა“...

— ყველა მსახიობს თავისი რიტუალი აქვს სცენაზე გასვლის წინ...

— რა თქმა უნდა. მე ეს რიტუალი ყოველ დღე მაქვს, რა ვქნა, ვერ მოვიშლი, წესად და ჩვეულებად მექცა. შევდივარ სცენაზე, ვანთებ სინათლეს, იატაკს ვაკოცებ, ლოჟებს, პარტერს მივესალმები, რევერანსს გავუკეთებ „მაყურებელს“, თითქოს ტაშის ხმაც მესმის... თუ გახსოვთ, ნიკა საბაშვილის „სისტემა“, მოხუცთა თავშესაფარის ტინგიცა ქალის როლს ვთამაშობ, სწორედ ასე გამოვდივარ სცენაზე. ნიკამ ეს ჩემში, ჩემს მახასიათებლად „დადგა“...

— თქვენი სუსტი წერტილი...

— უამრავი... მიყვარს საქართველო, ჩემი მთა და ბარი, ჩემი გიორგიწმინდა, ჩემი საგარეჯო თავისი ხალხით, თავისი სილამაზით, ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ჩემი რაიონისა... ჩემი შვილები — გიორგი და ლევანი, ლევანის შვილები, ჩემი შვილიშვილები...

— ამიტომაცაა თქვენს მიერ მომზადებული ღონისძიებები სიყვარულით და მადლიერებით გაჟღენთილი...

— რა ვიცი, რა გითხრათ... როგორ შეიძლება ვერ შეამჩნიო ჩვენი ქალაქის კოლორიტი ადამიანები. გახსოვთ ალბათ, შეხვედრა მოვუწყე ექიმ-პოეტს ლეილა ოტიაშვილს, რომელსაც მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელი რაიონი იცნობს,, მაგრამ აი, გულიკო ბაქრაძესა და თამილა სონიშვილს, როგორც ყოფილ კალათბურთელებს, იმ ლამაზ საღამოს გაეცნო მაყურებელი.

— რას გვეტყვით ბავშვთა და მოზარდათა წრეზე?

— საგარეჯოს კულტურს სახლთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა წრე 2006 წელს დავაარსეთ. გახსოვთ, ამ წელს საქართველოს მასშტაბით გაუქმდა სასოფლო ბიბლიოთეკები, კლუბები, დაიხურა ჩვენი, გიორგიწმინდის კულტურის სახლიც, რომლის დირექტორიც მე ვიყავი. მას შემდეგ არ მასვენებდა ფიქრი — რამდენი წრე დაიხურა, ბავშვებიც ისე დარჩნენ, ამიტომ, იმავე წელს საგარეჯოს კულტურის სახლში გავხსენით ზემოთხსენებული წრე, სადაც გიორგიწმინდელი ბავშვებიც შემოგვიერთდნენ. მართლაც საოცრად ნიჭიერები გვყავანან. ჩვენთან იზრდებიან მომავალ მსახიობებად თემუკა ჭიაურელი და მისი მეგობრები ... ძალიან მინდა საგარეჯომ კიდევ ბევრი ნიჭიერი მსახიობი აჩუქოს საქართველოს.

გთავაზობთ ნათელა დიდმელაშვილის ლექსებს

შემოდგომაა საგარეჯოში

ყველას გპატიჟებთ,
ზეცა სიმღერის და სიმდიდრის
ფერებს არიგებს
შემოიარეთ, ნახეთ ჩვენი დიდი ბარაქა,
რქაწითელი დაჯდა თამადად
შემოიარეთ,
დაგვილოცეთ ოჯახის ჭერი
და მიდღეგრძელეთ წყვილად წყვილი
აკვნების მთლელი,
შემოიარეთ, ადღეგრძელეთ
გარეჯის მთები,
ცივგომბორიდან აფრენილი
მშვიდობის მტრედი

ეს არწივი აფრინდება!

საქართველო დაჭრილია,
როგორც ვაჟას არწივი.
დასევია მუხას მუმლი...
მტერი მოდის, ნამდვილი...
მოვუაროთ საქართველოს,
მოვურჩინოთ გული
და დავიდოთ ხელისგულზე
მისი სიყვარული!
წინაპართა გზაზე დავდგეთ,
არ გავწიროთ ერი!
კეთილ საქმეს ვაკეთებდეთ —
ერია თუ ბერი!
...ეს არწივი აფრინდება!
საქართველო დამშვიდდება!

სიყვარული

ტირიფის ჩრდილში შემომხვდა გოგო,
შემომხედა და გაწითლდა როგორ...
ბროწეულივით აეწვა ლოყა,
როს ვეამბორე, იწყინა როგორ!
.... ჩაიფერფლა და დაიწვა გოგო.

გალაკტიონს

მე გამოვყვები ქარსა და წვიმას
და ავიტაცებ ნოემბრის დილას;
მე მოგიყვები აქაურ ამბებს:
ნაცრისფერ ღრუბლებს,
ფოთოლთა შრიალს,
სიყვარულისთვის ფიქრით გაჟღენთილ
ქარების გრიალს...

გალაკტიონს

ცაზე ღრუბლებს გაუშლიათ კაბადონი
და აისმა გვამცნო თქვენი დაბადება;
თბილმა ქარმა მოგვიტანა სიხარული,
„მე და ღამის” მელოდია ააჟღერა;
განთიადზე წვიმამაც კი გაიხარა,
ყვავილების თაიგული მოგიტანა.

ალავერდი

ეს ჩვენი კახეთია
და ჩვენი ალავერდი,
ჩვენი გრემ–ქალაქი...
გადადი „ალავერდი”!
ნეკრესი დიდებული
წმინდა ალაგია,
ასწიე ყანწი და
გადადი „ალავერდი”!
დალოცე მიწა და
ლამაზი მთა–ველი,
კახელი გლეხკაცი
გულღია, ალალი.
დალიე სასმისი
რქაწითლის ღვინოსი.
სამშობლო ადღეგრძელე,
ტაძარი ნინოსი!

საგარეჯოს საკვანძო მოქალაქე

ახალგაზრდების დამკვალიანებელი, მოამაგე

დასასრული

ედრიონის დროინდელ თქვენი მუშაობის ამბებს როგორ გაიხსენებთ, როცა საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად მაინც ახერხებდით მუშაობას და პატარა საგარეჯოელებისათვის სულის საგზლის მომზადებას?

– ბევრჯერ მითქვამს კერძო საუბრებისას, მარტო ერთი ადამიანი ვერასოდეს ვერაფერს იზამს, რამდენიც არ უნდა მოინდომოს... მყავდა და მყავს ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი, თანამოაზრეები, რომლებიც მაშინაც და დღესაც ყველაზე მწირ ხელფასზე მზად არიან ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის რაიმე კარგი და სასარგებლო გააკეთონ... იმ ავადსახსენებელ 90-იანებში არ იყო დენი, გაზი, პური, ფული... მაგრამ იყო ერთიანობა, სიყვარული, თანადგომა, მშობლების ნდობა და მხარდაჭერა; თქვენ წარმოიდგინეთ თემის მხარდაჭერაც-- თვეობით გვედგა მ.ა სახლში დათო მამისაშვილის „დვიეოკი“ და ზურა პეტრიაშვილის საოჯახო ვიდეოკამერა...მახსოვს, თამრიკო ანუაშვილთან, როგორც კომპოზიტორთან შეხვედრა გვქონდა... გარეთ ვიდექით ჭურჭლით, საწვავის საყიდლად მივდიოდით, უეცრად მანქანა გაჩერდა, იმ დროს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელი ბატონი ლადო მარხვაშვილი გადმოვიდა მანქანიდან, მძღოლს მანქანიდან საწვავი ამოატუმბინა, რომ ჩვენ ღონისძიება დაგვეწყო...და კიდევ, გია ჩალათაშვილი მაშინ მოადგილე გახლდათ, 3 იანვარს სამსახურში გამოცხადებულს წერილი დამხვდა, ჩემთან მოდი სამსახურშიო... შევფიქრიანდი, ნეტავ რა ხდება მეთქი... მოკრძალებით შევაღე კარები, მივულოცე ახალი წელი და კონვერტი მომაწოდა, თანამშრომლებმა ფული შევაგროვეთ და ამ ფულით ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გაუკეთეთო... ტკბილეული სანატრელი ქონდა დიდს და პატარას, განსაკუთრებით შოკოლადი და „სნიკერსი“ ახალი შემოსული იყო... რასაც ქვია „შოკოლადი დავაწვიმეთ „ ჩვენს ბავშვებს... აი ასეთი თანადგომა გვათამამებდა და სტიმულს გვაძლევდა, რომ კარგი ღონისძიებები შეგვეთავაზებინა ჩვენი ბენეფიციარებისათვის და ჩვენს პატარა თეთრ სახლს სულ ეციმციმა და ეხმაურა.

– როგორც ვიცი თქვენი ჩატარებული ღონისძიებების მდიდარი ვიდეო-აუდიო ჩანაწერები გაქვთ. როგორ არის ეს მასალა დაცული და ხომ არ აპირებთ მათი მუზეუმისთვის გადაცემას?

– მართალი ბრძანდებით, ნამდვილად კარგი ვიდეო-მასალა გვაქვს, რომლის გატანაც გვინდა დისკებზე, ჩვენს გვერდზე ავტვირთავთ, შემდეგ კი შესაძლოა კოპირება და მუზეუმში შენახვა... დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია ვრ“ ვრცელი ფოტო-ვიდეომასალა იხილოს ჩვენს „ფბ გვერდზე : საგარეჯოს მ.ა სახლი

– როგორი სამუშაო პირობებია სადღეისოდ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში?

– სადღეისოდ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ნორმალური სამუშაო პირობები გვაქვს, ტექნიკურად აღჭურვილი დარბაზი და მინი ლაბი, სადაც შესაძლებელია მოსწავლეთათვის და ბავშვებისათვის მუშაობა, მასალის მოძიება, საკანცელარიო მასალა, პრინტერები; ჩვენ თვითონ ვამზადებთ მონაწილეთათვის სერთიფიკატებს და დიპლომებს... გვყავს გადამზადებული სტაფი და ამაში დიდი წვლილია „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეების.

2019 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს გაუკეთდა ახალი გადახურვა.

2020 წელს ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და ძალიან ლამაზი გამოვიდა თითოეული ოთახი.

წელს ველოდებით ეზოს ინფრასტრუქტურის და გათბობის სისტემის მოწყობას...

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს ,მერს ბატონ გიორგი ერბოწონაშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ოთარ ჩალათაშვილს ჩვენი მხარდაჭერისათვის.

– რა წრეებია, რას სწავლობენ ბავშვები, რას საქმიანობენ?

– გვაქვს საგნობრივი ინგლისური ენის კლუბი – პედაგოგი თამარ მათიაშვილი; ხატვის კლუბი, რომელსაც ქალბატონი ნინო ჯანგულაშვილი ხელმძღვანელობს; სახალისო მათემატიკის კლუბი - თამარ ქურხული; მხატვრული კითხვის კლუბი - ოლდა მეხაშიშვილი; საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბი -- ლია ქვლივიძე; ინტელექტუალთა კლუბი -- ბადრი დრეიძე. გვყავს მოხალისეობრივი „ლიდერთა კლუბი“- რომელშიც გაერთიანებული არიან 14 -18 წლის ახალგაზრდები; ასევე მოხალისეობრივი ტექნო-კლუბი, რომელსაც ჩვენი ლიდერი ტექნო-გოგონა მაიკო მეკოკიშვილი ხელმძღვანელობს.

– რა ღონისძიებები ტარდება, ვისთან პარტნიორობით?

– ყოველწლიურად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ძალიან ბევრი ღონისძიება, შეხვედრა და ტრენინგი ტარდება.

დავიწყებ იქიდან, რომ ჩვენ მუშაობის სტილი საერთოდ შევცვალეთ 2005 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩვენთან 2 წლიანი სამუშაო ვიზიტით მოვიდა ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე რებეკა მადდენ-სტარჯესი, იმ დროიდან ბევრი სიახლე დავნერგეთ, როგორც სტაფისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. ძირეული ცვლილება 2013 წლის თებერვლიდან შევიდა, ასევე მოხალისე ემილი ნიუს პერიოდში, როდესაც დავაარსეთ ლიდერ გოგონათა კლუბი, როდესაც საინტერესო ადამიანებს და მათ შორის იმდროინდელ ელჩს რიჩარდ ნორლანდს და მის მეუღლეს მერი ჰარტნეტს შევხვდით.

2015-2017 წლებში ჩვენი მოხალისე გახლდათ ქეთი ო'ნეილი, რომლის დროსაც შევქმენით მინი-ლაბი – კომპიუტერული ლაბორატორია, ჯერ სტაფი გადავმზადდით და ვასწავლეთ ტექნოლოგიებით დაინტერესებულ ჩვენს ბავშვებს სხვადასხვა პროგრამა. ახლა ისინი წარმატებით ასწავლიან თანატოლებს...

„მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეების მიერ ორგანიზებულ ბანაკებში ჩვენი ბევრი მოსწავლე-ლიდერი მოხვდა, იქ მიღებული ცოდნის გაზიარების მიზნით ბევრი ტრენინგი ტარდება, თაობები იცვლება და ამასთან ერთად იცვლებიან ტრენერი ლიდერებიც...

ლიდერთა გადამზადების ტრენინგებს დავარქვით „ნაბიჯი წარმატებისაკენ“, ზუსტად ამ პროექტის ფარგლებში 2018 წელს, მოხალისე ანასტასია აჯიმანის დროს მოხდა ჯერ სტაფის გადამზადება, შემდეგ ლიდერების და ასე ვაგრძელებთ.

ზუსტად 2013 წლის ზაფხულიდან დავიწყეთ დღის თემატური ბანაკების ორგანიზება, ამას საშობაო ბანაკები მოჰყვა, კინო-ფესტივალები, გაეროს და ევროპარლამენტის მოდელირებები, ფორუმები, დებატები 2 ასაკობრივ ჯგუფში და სხვა ტრადიციული ღონისძიებები, რომელსაც ყოველწლიურად ვატარებთ: ახალი წელი, 3-8 მარტი, დედა ენის დღე, ეროვნული სამოსის დღე, ინტელექტუალური თამაშები ორ ასაკობრივ ჯგუფში და ა.შ.

ვთვლი, რომ „სხვას რომ ასწავლო, ჯერ შენ უნდა ისწავლო“, სულ უნდა ეძიებდე, სწავლობდე, ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერდე... თუ შენ არ ვითარდები, სხვის განვითარებას როგორ შეუწყობ ხელს?

გარდა „მშვიდობის კორპუსის“ საქართველოს წარმომადგენლობისა, ჩვენი პარტნიორები და მეგობრები არიან საქართველოს წითელი ჯვრის საგარეჯოს ფილიალი --მენეჯერი ქალბატონი მაია ალექსიშვილი, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – დირექტორი ბატონი ბადრი დრეიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრი – დირექტორი ქალბატონი მანანა ცუცქირიძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები, კულტურის ობიექტების გაერთიანება--დირექტორი ბატონი ბესიკ ღვინაშვილი, ბავშვთა ხელოვნების სკოლა სტუდია „მი-რე-ლა“- ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი, ბადიაურის საჯარო სკოლასთან არსებული ვოკალური ანსამბლი „იაგუნდი“--ხელმძღვანელი მაია სირბილაშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე -- დირექტორი თიკა რუხაძე, საინფორმაციო ცენტრი ნატოს და ევროკავშირის შესახებ კახეთის ბიუროს წარმომადგენლობა-- ბატონი ბექა ექსეულიძე, „თოთალ ქარეჯ ჯორჯია“-წარმომადგენელი ქეთი შეპარდი.

– მოსწავლეთა რამდენი ნაკადი გამოუშვით თქვენი ხელმძღვანელობით?

– ჩემი მუშაობის პერიოდში, ყოველწლიურად ვუშვებთ მე-12 კლასელებს, ისევე, როგორც სკოლა, ასე, რომ 30 ნაკადი გავუშვით უკვე.

– თქვენს მიერ აღზრდილი წარმატებული საგარეჯოელები ვინ არიან?

– არავის რომ არ ეწყინოს, ვიტყვი, რომ ჩვენთან აღზრდილი ბავშვი ყველა თავის სფეროში წარმატებულია და კარგი მოქალაქეა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი აღზრდილებით!

– ახლახანს მოგენიჭათ საპატიო საგარეჯოელის წოდება, სხვა რა ჯილდოები მიგიღიათ?

– ჯილდოებით განებივრებული არ ვარ -- მაქვს სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება, და ახლა საპატიო გარეჯელის წოდება. ორივე ძალიან ბევრს მავალებს. ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია და მე ვიცი, რომ ეს უხვად მაქვს და მადლიერი ვარ... მეც ყველა მიყვარს და მინდა, რომ ჩემი საგარეჯოელები, ჩემი ქართველები ყველგან, საქართველოშიც და უცხოეთშიც კარგად და ჯანმრთელად იყვნენ.

– თქვენი აზრით, რა არის ქალისათვის ამ ცხოვრებაში ყველაზე დიდი ჯილდო და ბედნიერება?

– ქალისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება და ჯილდო დედობაა, შვილის ჯანმრთელობა და წარმატებაა.

– რას გვეტყვით თქვენი შვილის საქმიანობის შესახებ?

– ვფიქრობ, ძალიან კარგ საქმეს აკეთებს -- ქველმოქმედებით და სამსახურებრივად -- გიდია; უცხოელებს აცნობს ქართულ კულტურას.

– რას ნიშნავს თქვენთვის 3 და 8 მარტის დღეები?

– დედის და ქალთა დღე ჩემთვის გაზაფხულთან, სიყვარულთან, სიხალისესთან, სილამაზესთან ასოცირდება!

მინდა ყველა ქალს, დედას, ბებიას, გოგონას მივულოცო 8 მარტი! სიხარული, ბედნიერება და წარმატებები ვუსურვო!

– პოეზიასთან რა დამოკიდებულება გაქვთ?

– პოეზია, მადალთა ხვედრიაო, ამბობენ! პოეზია მიყვარს და ხშირად ვკითხულობ ლექსებს. კლასიკოსი პოეტებიც მიყვარს და თანამედროვენიც.

ესაუბრა

გივი დაბახიშვილი

პატარების ჯანმრთლობის საფარაჯოზე

როცა სხვანაირად ცხოვრება არ შეგიძლია

დასასრული

თაშორისო ასპარეზობების ჩემპიონისა და პრიზიორის ტარიელ როსტომაშვილისა და შვილების გიორგისა და ნიკას თანადგომა და ხელშეწყობაა. მაგრამ, თუ შვილები და მეუღლე „პატიობდნენ“ სახლში ყოფნის „დეფიციტს“, შვილიშვილები: ტატო, დათა, ნიტა და ერეკლე ვერ პატიობენ, ტელეფონზე ხშირად ეხმიანებიან და ნატრობენ, მალე მოდი, მალეო.

მას კი, შვილიშვილებთან მეტი დროის გატარებასთან ერთად, ენატრება ახალი ლიტერატურის კითხვა, ქსოვა, ქარგვა, ხატვა, რაც ძალიან, ძალიან უყვარს, მაგრამ პატარების სიყვარული და თავისი პროფესიის, ექიმის ფიცის ერთგულება ახლაც იმ დიდი დოზითაა მასში, რომელიც აიძულებს ყველაფერი ეს მსხვერპლად მიიტანოს იმ დიდ საქმეში, რასაც ჩვენი პატარების ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე ზრუნვა ჰქვია.

კვლავაც ასე ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე გვეხილოს თავის ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან, სასიცოცხლო მნიშვნელობის პოსტზე ჩვენი ხალხისაგან ამაგდაფასებული და ამაგდარი პედიატრი. ეს და კიდევ მრავალი ქალთა დღესასწაული მოელიოს წარმატებით თავის ოჯახთან და საყვარელ შვილიშვილებთან ერთად.

რთული, მაგრამ საპატიო მისია

საგარეჯოელი ქეთევან ელერდაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომელია.

ქეთევანი ბავშვობიდანვე სამართლიანობის, სიკეთის კეთების მოყვარული იყო. ზოგჯერ ისეთ საქმესაც შესჭიდებია, ვაჟებს რომ გაუკვირდებოდათ. ოჯახის სამი გოგონადან უფროსი მამასაც მხარში ედგა ყოველთვის და დედასაც – მხატვარ თამარ იორამაშვილს.

დღეს ეს მშვენიერი გოგონა ჩვენი გაზეთის სტუმარია.

– რას ნიშნავს თქვენთვის საზოგადოების სამსახურში ყოფნა?

– მოდი ასე მოკლედ გეტყვით თუ რას ნიშნავს ჩემთვის პოლიციელობა და შსს-ს რიგებში მსახურება. ჩემთვის მთელი ცხოვრებაა ეს სამსახური, ფაქტობრივად მეორე სახლია, რომლის გარეშეც სუნთქვა არ შემიძლია. მე ვემსახურები ჩემს სამშობლოს და ჩემს ხალხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ამას ვერ იაზრებს, რას ნიშნავს საერთოდ პოლიციელობა და რა რთულია, ქალისთვის მითუმეტეს, გადადგა ნაბიჯი და იყო პოლიციელი. მთელი სულითა და გულით უნდა იყო პოლიციელი. მე მეამაყება რომ პოლიციელი მქვია!

– რას ეტყოდით იმ ადამიანებს რომლებიც აკრიტიკებენ პოლიციელის ღირსეულ საქციელს ან ყველას ერთ ქვაბში ხარშავენ?

– მხოლოდ იმას რომ მათი, მათი ოჯახის, შვილების, მომავალი თაობის უსაფრთხოებისთვის ვათენებთ ღამეებს და მშვიდად რომ სძინავთ ღამით, პოლიციელების დამსახურებაა. არავინ არ იცის სახლიდან გასული პოლიციელი მივა თუ არა მშვიდობით სახლში და კრიტიკოსები ამას უნდა იაზრებდნენ როცა თავად მშვიდად სახლებში ზიან. ყველა პოლიციელის უკან ბრმა ტყვიაა, ნათქვამია და როდის დაეწევა არავინ იცის. განათლებული და ერუდირებული ადამიანი ამას გაიაზრებს და კრიტიკასაც დაანებებს თავს. მაგრამ ...

თუმცა, დღეს გასაკვირი კი არა, მისასალმებელი და დასაფასებელია მათი თავდადება. ყველა მანდილოსანს, ვინც ჩვენს ქეთევანთან ერთად დგას ჩვენი სიმშვიდის სადარაჯოზე, ვულოცავთ მარტის დღესასწაულებს, სიკეთე, სიხარული და გამძლეობა მათ თავიანთ პოსტზე.

„რაც მაწუხებს და შთამაგონებს, იმას ვამბობ ნახატშიც“

თამარ იორამაშვილი სართიჭალაში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან ოჯახმა შეაყვარა ხელოვნება. მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ხაზვა-ხატვის ფაკულტეტი.

ასწავლიდა სართიჭალის 8-წლიან სკოლაში, საგარეჯოს პირველ სკოლაში, შეთავსებით კოლეჯში, პროფსასწავლებელში და სხვა სკოლებში.

2004 წლიდან საგარეჯოს კულტურის სახლის მხატვარ-გამფორმებელია.

მონაწილეობდა გამოფენებში:

საგარეჯოს კულტურის სასახლის საგამოფენო დარბაზი; ილიაობა (ყვარელი);

ერეკლეობა (თელავი); საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები (სიღნაღი),

საგაზაფხულო გამოფენა (სიღნაღი); საშემოდგომო გამოფენა (სიღნაღი);

კახეთის რეგიონის ხალხურ შემოქმედებათა ფესტივალი (თელავის კულტურის სახლი); საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა (საგარეჯოს საკრებულოს სხდომათა დარბაზი)

მისი ნამუშევრები დაცულია: კერძო კოლექციებში /საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი/.

– საგარეჯოში ცხოვრობთ. როდის დაიწყო ხელოვნების სიყვარული?

– უკვე 40 წელია, რაც საგარეჯოს მკვიდრად ვითვლები.

ბავშვობა სოფელ სართიჭალაში გავატარე, დედა დიასახლისი იყო, მამა – მოსამსახურე. სახლში დასაქმებული იყო მუსიკალური ხელსაწყოების შექმნითა და რესტავრაციით. მუსიკოსიც იყო. მამას ხშირად ვეხმარებოდი, ვაკვირდებოდი მის საქმიანობას და ამანაც განაპირობა ხელოვნების სიყვარული.

– მ. თოიძის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრეთ. რა შეგძინათ იმ პერიოდმა?

– სკოლის შემდგომ, 1974 წელს, შევედი მ.თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში კერამიკის განხრით. მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგები: ცაცა (ესმირალდა) გელაშვილი-მირცხულავა და სუზანა ველიანი-ყიფშიძე (ინსტიტუტზე მეტად ამ სასწავლებელმა მომცა ცოდნა).

ვმონაწილეობდი დიდი მოზაიკური პანოების აწყობაში, რომელთა ავტორი მხატვარ-მონუმენტალისტი ზურაბ წერეთელი იყო.

სადიპლომო პრაქტიკა ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში გავიარე და წარჩინებით დავამთავრე.

– სულხან-საბას ორბელიანის სახელობის ინსტიტუტის ხაზვა-ხატვის ფაკულტეტი დაამთავრეთ. 33 წელი სკოლაში მუშაობდით, ასევე კულტურის სახლში, კოლეჯში

– ოჯახის შექმნის შემდეგ მოგვიანებით გავაგრძელე სწავლა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხაზვა-ხატვის მეთოდისტის ფაკულტეტზე.

ვმუშაობდი სართიჭალის 8-წლიან სკოლაში, საგარეჯოს პირველ სკოლაში, შეთავსებით კოლეჯში, პროფსასწავლებელში და სხვა სკოლებშიც.

2004 წლიდან ვითვლები კულტურის სახლის მხატვარ-გამფორმებლად. ჩემი სამოდვაწეო ასპარეზი, გარდა სწავლისა, შემოიფარგლებოდა სკოლის კაბინეტების ინდივიდუალური გაფორმება-მოწყობით, რაც დიდი ენთუზიაზმით კეთდებოდა ყოველთვის.

– თქვენი ფერწერული ტილოები ფერების სინაზითა და აზრის სიღრმით გამოირჩევა. როგორ შეიქმნა ნამუშევარი „დედა“, რომელიც რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის გამარჯვებულს გადაეცა საჩუქრად?

– ჩემი ფერწერული ტილოები უფრო თემატური, ყოფითი ცხოვრების ამსახველია რაც მაწუხებს და შთაგონებას მაძლევს, იმას ვამბობ ნახატშიც.

ისტორია დედაზე ადრეც მქონდა შესრულებული, როგორც კერამიკული, ისე ფერწერული. ექსპრომტად მომიწია, დამეხატა რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის გამარჯვებულისთვის. ბატონმა ბესიკ ღვინაშვილმა მთხოვა, მომეფიქრებინა რამე და მაშინ შეიქმნა ჩემი საყვარელი მწერლის „დედის“ ჩანახატი დეკორატიულ თეფშზე.

– საგარეჯოს სახალხო თეატრის მხატვარი ხართ. რას გვეტყოდით თეატრში მუშაობაზე

– ვიტყოდი, რომ არაჩვეულებრივი, ნიჭიერი და ცნობილი რეჟისორი – ნიკოლოზ საბაშვილი ჰყავს საგარეჯოს თეატრს, სადაც დეკორაციებზე ვმუშაობ. ესაა სპექტაკლები: „ოჯახური იდილია“, „ცხოვრება მშვენიერია“, „გარეჯულა“, „სისტემა“, „კლოუნადა“ მ. ხოკერაშვილისა და პ. ქვლივიძის „ნუ დამადანაშაულებ მე“.

ჩემთვის ძალიან საინტერესოა თოჯინების თეატრშიც დეკორაციებზე მუშაობა. ეს სპექტაკლებია: „იდუმალი ჰიპოპოტამი“, „ჩექმებიანი მგელი“, „ნახევარქათამა“, „სამი გოჭი“.

– მრავალი გამოფენის მონაწილე ხართ – ერეკლეობის, ილიაობის, საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენების, ხალხურ შემოქმედებათა ფესტივალების, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენის. რომელი გამოფენა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

– უფრო ადგილობრივი გამოფენებით შემოვიფარგლები. გარეჯობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი, კულტურის სახლის საბიბლიოთეკო ღონისძიებები, საზაფხულო ზეიმები და საავტორო ღონისძიებები. ჩემი ნამუშევრები დაცულია: კერძო კოლექციებში (საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი).

დიდი სიხარული მომიტანა თელავის გამოფენა-გაყიდვამ, სადაც საფრანგეთის მხარემ შეიძინა ჩვენი ნამუშევრები. დაგვენა, მაგრამ გაჭირვებას რა ვუთხრათ

ამას წინათ, თბილისის მერიამ გამოსცა 700 მხატვრის ნამუშევრების წიგნი, სადაც ჩემი 1 ნამუშევარიც შევიდა.

– ჰობი

– რაც კი ხელოვნებას უკავშირდება, ყველაფერი

– ოჯახი

– მყავს სამი შვილი, ქალბატონი, 1 დაოჯახებულია. ერთი შვილიშვილი, მეუღლე გარდამეცვალა.

– სამომავლოდ?

– გამოფენაზე და ჩემს შედეგიან მუშაობაზე ვფიქრობ. ძალიან ბევრი დრო დავკარგე. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

თამარ შაიშმელაშვილი

მედიაჰოლდინგი „კვირა“

ფეიმოქმედი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური